პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხაკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

პარასკევი, 2 აპრილი 1937 წ. № 75 (4876)

როდესაც ჩვენი პარტიული ამხანაგები, სამეურნეო წარმატებებით გატაცებულნი, შორდებოდნენ პოლიტიკას, ეს იყო უკიდურესობა, რომელიც ჩვენ დიდ მსხვერპლად დაგვიჯდა. თუ ახლა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ხელს ჰკიდებს რა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას, განიზრახავს ჩამორთმეულ მეურნეობას, მაშინ ეს იქნება მეორე უკიდურესობა, რომელიც ჩვენ ისევ მსხვერპლად დაგვიჯდება. არ შეიძლება ერთი უკიდურესობიდან მეორეს აწყდებოდე.

ი. სტალინი

კადრების ბოლშევიკური შემოწმება და გამოწრთობა

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ამხანაგ სტალინის საბოლოო სიტყვას საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე.

სათავეში ჩავუდგეთ პოლიტიკურ მობრუნებას ქვეყნის ცხოვრებაში, დავიცვათ ძიუვალ ციხე-სიმაგრედ, სადაც არცერთ თვალთმაქცს არ შეეძლოს შეპარვა, ასეთია ძირითადი ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი პარტიის წინაშე. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი მიგვითითებენ გზას ამ ამოცანების შესასრულებლად. მოხსენება და საბოლოო სიტყვა ამხანაგ სტალინისა, რომელმაც ბოლშევიკური პირდაპირობითა და უშიშრობით გამოააშკარავა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხარვეზები, აიარაღებენ პარტიას მიზნისა და ჰისი მიღწევის საშუალებათა მტკიცე ცოდნით.

ბოლშევიზმის დიადი ძალა მუდამ მდგომარეობდა უნარში — გამოენახა მორიგი რგოლი, რომლისთვისაც ხელჩაჭიდებით შეიძლება ამოსწოო მორიგ ამოცანათა მთელი ჯაჭვი. ისტორიის თვითეული მობრუნების პუნქტზე პარტია აყენებდა ამათუიმ ძირითად ლოზუნგს, რომელიც ნათლად აშუქებდა მთელ რთულ ვითარებას. დავეუფლოთ ბოლშევიზმს, პოლიტიკურად აღვზარდოთ კადრები, ბოლშევიკურად გამოვაწრთოთ ისინი — ასეთია ახლანდელი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

კადრები — სოციალიზმის აშენების ერთერთი ძირითადი პრობლემაა. მარქსსა და ენგელსს ჯერ კიდევ დიადი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდათ ეს გათვალისწინებული. კადრების ნაკლებობაზე, მათს გამოუცდელობასა და უუნარობაზე ამყარებდნენ იმედს მუშათა კლასის უძრაცხეი მტრები. მაგრამ ისინი სასტიკად შესცდნენ ანგარიშში. რევოლუციის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მშრომელი მასები, განთავისუფლდნენ რა ექსპლოატატორებისაგან, არნახული სისწრაფით აყენებენ მრავალ ტალანტს მჭოე და ნიჭიერ ხელმძღვანელთ. ლენინი და სტალინი, მასების შემოქმედებითი ძალებისადმი ღრმა რწმენით გამსჭვალულნი, ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ კადრების, მათი შერჩევის, მომზადების, შემოწმების საკითხს.

ჩვენ გვჭირდება შემოწმებული, ბრძოლაში გამახვილებული კადრები, ისეთი კადრები, რომელთაც გააჩნიათ ბოლშევიკური გამჭრიახობა, შეურიგებლობა მტრისადმი. ასეთი კადრების არსებობა — შემდგომ გამარჯვებათა აუცილებელი პირობაა. ვინაიდან მტრებთან ბრძოლა სრულებითაც არ არის დამთავრებული.

როგორ შეუძლიათ, მაგალითად, იაპონელ - გერმანელ - ტროცკისტ შავნებლებს, ჯაშუშებს, დივერსანტებს, მკვლელებს იმოქმედონ ჩვენი პარტიისადმი მშრომელი მასების განუყოფელი ნდობის ვითარებაში? ეს არამზადები სარგებლობენ ბევრი ჩვენი მუშაკის პოლიტიკური სიბეცითა და სიბრმავით, მათ შორის ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი იდიოტური ავადმყოფობით — უდარდელობით, მზადყოფნით — მიეცნენ განცხრომას მიღწეულ წარმატებათა გამო, სარგებლობენ მათი უზრუნველობითა და თვითკმაყოფილებით. მუშაკთა ნაწილს ჰქონდა მიდრეკილება დაევიწყნა ისეთი არასასიამოვნო ფაქტი, როგორიცაა კაპიტალისტური გარემოცვა. ბევრმა ვერ გაიგო, რომ ტროცკიზმი უკვე დიდიხანია პოლიტიკური მიმდინარეობიდან მუშათა კლასში — გადაიქცა ფართო შარაგზის იმ ავაზაკთა გაშიშვლებულ ბანდად, რომელნიც იმყოფებიან იაპონია - გერმანიის პოლიციური ოხრანკის სამსახურში. მთელი რიგი ჩვენი მუშაკების ჭკუამოკლე საქმოსნობა, პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის მივიწყება, მლიქვნელობა, თავგასულობა — აი ეთია მანკიერებანი, რომლებიც ცხოლოდ მტრებისათვისაა ხელსაყრელი.

გადაჭრით, ბოლშევიკურად მოუღო ბოლო ამ უდიდეს ნაკლოვანებებს — ნიშნავს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცე ყველა მტერს, შინაურსა და გარეშეს.

მოაქციო პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში — სრულიადაც არ ნიშნავს დავიწყებას მისცე სამეურნეო ამოცანები. „არ შეიძლება ერთი უკიდურესობიდან მეორეს აწყდებოდე. არ შეიძლება პოლიტიკის გამოყოფა მეურნეობისაგან. ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვშორდეთ მეურნეობას ისევე, როგორც არ შეგვიძლია ჩამოვშორდეთ პოლიტიკას". სამეურნეო ორგანოებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ „სისტემატურად დავეხმაროთ ამ ორგანოებს, სისტემატურად განვამტკიცოთ ისინი და ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას არა ამ ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი საშუალებით". სანამ სამეურნეო ორგანოები—დაუწინარეს ყოვლისა სამიწათმოქმედონი — არ არიან განმტკიცებულნი როგორც რიგი და წესია, მანამდე პარტიულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ თავი განითავისუფლონ სამეურნეო მუშაობის წვრილმანებისაგანაც კი. ასე, მაგალითად, პირდაპირი დანაშაული იქნებოდა ამ დღეებში პარტიული ორგანიზაციების თვითჩამოშორება თესვის სამუშაოსაგან.

ბოლშევიზში ყოველთვის განირჩეოდა უდიდესი ყურადღებით თავისი კადრებისადმი, დაუღალავი ზრუნვით მათზე. ბოლშევიკური გამოცდილების საგანძური ამ საკითხში ამხანაგმა სტალინმა გაამდიდრა თავისი მოხსენებითა და საბოლოო სიტყვით. მან მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკა უბადრუკი ხელმძღვანელები, რომელნიც ივიწყებენ პარტიის თვითეული წევრის კანონიერ უფლებებს, მან გაანადგურა ბიუროკრატები, რომელნიც ჭაღალდის ფურცლის იქით ვერ ხედავენ ცოცხალ ადამიანს, რომელნიც შეეჩვივნენ ათასობით თვლას და რომელთაც უნარი არ შესწევთ გაარჩიონ ცალკეული კომუნისტები. მან დაჭგმო პრაქტიკა პარტიიდან უმართებულოდ გარიცხვისა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ სამსახური გაუწიოს მტერს.

სწორად შეარჩიო კადრები — ნიშნავს განუხრელად ხელმძღვანელო ორი პრინციპით: პოლიტიკურობა და საქმიანით. რომელიმე ამ პრინციპის დავიწყება ნიშნავს კადრების შერჩევის ბოლშევიკური მეთოდის სრულ დამახინჯებას. ამ საფუძვლების შეცვლა შინაურულობის, ნათლიმამობის „პრინციპებით", რასაც დიდი გასავალი ჰქონდა მთელ რიგ ორგანიზაციებში, ხიშნავს დაცინვას ბოლშევიზმის საუკეთესო ტრადიციებზე, მისი მუშაობის სტილის აბუჩად აგდებას.

ამხანაგმა სტალინმა საბოლოო სიტყვაში მკაცრად გააკრიტიკა ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელის პრაქტიკა ამ საკითხში: „ავიღოთ, მაგალითად, ამხანაგები მირზოიანი და ვაინოვი... ეს ადამიანები ჩვენს წრეში — უკანასკნელი მუშაკები როდი არიან. ხოლო როგორ აწარმოებდნენ ისინი მუშაკების შერჩევას? პირველმა თან გადაიყვანა კახახსტანში აზერბეიჯანიდან და ურალიდან, სადაც იგი წინათ მუშაობდა, 30-40 „თავისი" კაცი და გაანაწილა ისინი პასუხსაგებ პოსტებზე კახახსტანში. მეორემ თან გადაიყვანა იაროსლავლში დონბასიდან, სადაც იგი წინათ მუშაობდა აგრეთვე ათეულზე მეტი „თავისი" კაცი და გაანაწილა ისინი აგრეთვე პასუხსაგებ პოსტებზე. მაშასადამე, ამხანაგ მირზოიანს თავისი არტელი აქვს. აქვს იგი ამხანაგ ვაინოვსაც".

აშკარაა ის ზიანი, რომელსაც ამგვარი პრაქტიკა იწვევს. ადამიანები, რომელნიც ადგილიდან ადგილზე „კუდად" მიჰყვებიან თავის ხელმძღვანელს, აზორებენ მას ადგილობრივ აქტივს. „გასაგებია, რომ ასეთი შინაურული ვითარება ჰქმნის ხელსაყრელ გარემოს მლიქვნელთა, ისეთ ადამიანთა გამოსაზრდელად, რომელნიც მოკლებულნი არიან თავისი ღირსების გრძნობას და რომლებსაც ამიტომ საერთო არაფერი აქვთ ბოლშევიზმთან".

ყველაზე უკეთესი კადრები არ არიან უზრუნველყოფილი გახრწნისაგან, თუ ისინი არ შეამოწმე სამუშაოზე სისტემატურად, ყოველდღიურად. ეს შემოწმება სავსებით ქმედია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხორციელდება არა მარტო ზემოდან, ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ, არამედ ქვემოდანაც, მასების მხრივ. სახალხო კომისარიატთა, სამმართველოთა, მთავარსამმართველოთა, საწარმოთა აქტივის რეგულარული კრებები მოწოდებული არიან გახდნენ ნამდვილ ტრიბუნად ბოლშევიკური თვითკრიტიკისა, რომელიც ამთარახებს მუშაობის ყველა ნაკლს და ცალკეულ მუშაკებს, მიუხედავად პიროვნებებისა, წინანდელი დამსახურებისა. აქტივების მოწვევის უკვე პირველმა ცდებმა გვიჩვენეს ქვემოდან კადრების კონტროლისა და შემოწმების ამ ფორმის ცხოველმყოფელობა და ძალა. პარტიული ორგანოების დახურული არჩევნები ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა მტკიცედ შესრულების საფუძველზე ყველაზე ჭკვიანი მეთოდია—ქვემოდან პარტიულ ხელმძღვანელთა კადრების შესამოწმებლად.

დაშვებული შეცდომების ახსნაგანმარტებაზე სწარმოებს კადრების აღზრდა. მუშაკის შეცდომების მიჩქმალვა ნიშნავს — აუცილებლად დაღუპო იგი საბოლოო ანგარიშში. ბოლშევიკური თვითკრიტიკის ცეცხლი სწვავს ყოველივე დამპალს, აჯრთობს ყოველივე ჯანსაღს. ობივატელური, მეშჩანური პრინციპი — „იცოცხლე და სხვებიც აცოცხლე" — იქას კი არ ნიშნავს, რომ დაიდო კადრები, არამედ წაუბიძგო მათ თვითკმაყოფილებისა და ლპობის გზისაკენ. რამდენი მუშაკის შენარჩუნება შეიძლებოდა, პარტიულ ხელმძღვანელებს და ორგანიზაციებს რომ მუდამ ნამდვილი ბოლშევიკური პირდაპირობითა და მგზნებარე ბით დაეშინათ ცეცხლი ყველა მათი შეცდომისა და ნაკლოვანებისათვის, დაწყებული ყველაზე „მცირედით"!

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი შემდგენლობა — მისი გენერალიტეტი, მისი ოფიცრობა, მისი უნტეროფიცრობა, — სათავეში უდგას ისეთ არმიას, როგორიც მსოფლიოს არასოდეს არ უნახავს. ესაა შრომის გამარჯვებული დიადი არმია, რომელმაც დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში აღმართა მსოფლიო კომუნიზმის წითელი დროშა. ბოლშევიკური კადრების ძალა მდგომარეობს მათს უნარში — არა მარტო ასწავლონ მასებს, არამედ ისწავლონ კიდეც მათგან. ამხანაგმა სტალინმა სათელი და დამაჯერებელი მაგალითებით გვიჩვენა, თუ რა გიგანტურ დახმარებას უწევს პარტიას „პატარა ადამიანთა" გამოცდილება და ცოდნა.

ჩვენი პარტია დაუღალავად გამოსჭედს ისეთ კადრებს, რომელთაც არ იცავან შიში ბრძოლაში, რომელნიც ზედმიწევნით დაუფლებიან ბოლშევიზმს, ისეთ კადრებს, რომელთაც შესწევთ უნარი იყვნენ ჭილიონების ნამდვილი ხელმძღვანელები.

„პრავდის" მოწინავე, 1/IV



მოსკოვ-ვოლგის არხზე

დმიტროვი, 31. მარტი (საქდესი). დღეს წყალმა უკვე დაჰფარა მოსკოვ-ვოლგის არხის 81,2 კილომეტრი (სანაოსნო გზის საერთო მანძილი უდრის 128 კილომეტრს).

ტრასის პირველი ოთხი კილომეტრის სიღრმე — ივანკორტიდან საავარიო ჰიშკარ № 104-მდე უკვე აღწევს 5,6 მეტრს. საავარიო ჰიშკრის საფარები აკავებენ წყალს.

წყალი მზად არის მიაწყდეს მეორე რაბს, რომელიც დამთრობულია ვოლგას 15 კილომეტრით.

მძლავრად გუბდება წყალი შემკავებელ ჰიშკარ № 103-სა (დმიტროვთან) და არხის მესამე რაბს შუა, რომელიც აგებულია სადგურ იახრომის ახლოს. ეს წყლით დაფარული უბანი 16,8 კილომეტრის სიგრძისაა.

გაზაფხულის წყალი მიიღო ხიმკის წყალსაცავმა.

მდინარე მოსკოვის წყლით აივსო არხის უბანი მდინარე მოსკოვიდან მერვე რაბამდე, იმ ადგილამდე, სადაც ერთმანეთს გადასჭრის ვოლოკალამის გზატკეცილი, კალინინის რკინიგზა და წყლის გზა საბჭოთა დედაქალაქისაკენ.

კალინინი, 31 მარტი (საქდესი). როდესაც ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლებმა უკანასკნელი ფარი დადგეს ივანკოვოს საგუბარზე, ვოლგამ ყოფილ ქალაქ კორჩევოსთან სწრაფად იწყო ნაპირების გადალახვა. დღეს იმ ადგილას, სადაც ეს ძველი ქალაქი იყო, ვოლგის წყალი მოედო ყოფილ ბაზრის მოედანს და მიადგა კორჩეველთა საყვარელ სასეირნო ადგილს — ქალაქის ბულვარს.

წყალი კვლავ მატულობს. ჯერ-ჯერობით წყალს არ დაუფარავს ყოფილი ქალაქის მხოლოდ ყველაზე შემაღლებული ადგილები. რამდენიმე დღის შემდეგ ისინიც დაიმალებიან ახალი „მოსკოვის ზღვის" წყალში.

სურათზე: კარამიშევის კაშხალის საერთო ხედი ქვემო ბიეფიდან

მდგომარეობა ესპანეთში

მაღრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა

პარიზი, 31 მარტი (საქდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობას, რომელიც გამოქვეყნებულია დღეს, შუადღისას:

„გვადალახარის ფრონტზე სოფელ მირალრიოს დაკავების შემდეგ, რესპუბლიკელებმა ბრძოლით აიღეს მტრის მთელი რიგი პოზიციები, რომელთაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც დაჰყურებენ მტრის ფრონტის ხაზს საელისესის მახლობლად. რესპუბლიკელთა ჯარების ამ ოპერაციების ხელი შეუწყო რესპუბლიკელთა რამდენიმე ესკადრილიამ, რომელიც განუწყვეტლივ უშენდნენ ყუმბარებს მეამბოხეთა ზურგს გვადალახარისა და სარაგოსის პროვინციების საზღვართან.

რესპუბლიკელთა არტილერია და ავიაცია ყუმბარებს უშენდნენ მეამბოხეთა პოზიციებს ავილის პროვინციაში".

ესპანეთის ჩრდილოეთის ფრონტებზე

ბილბაო, 31 მარტი (საქდესი). ასტურიის ფრონტზე, ესკამპლეროს რაიონში, ოვიედოს დასავლეთით, გუშინ ორი საათის განმავლობაში არტილერიის ძლიერი სროლა სწარმოებდა. რესპუბლიკელთა ბატარეებმა, რომლებიც ყუმბარებს უშენდნენ ქალაქ ოვიედოს გამაგრებულ პუნქტებს, დააზიანეს ჩრდილოეთის ვაგზალი და დაანგრიეს რამდენიმე შენობა ურიისა და ტორენოს ქუჩებში.

გუშინ, დღის 1 საათზე, რესპუბლიკელთა პოზიციებზე ოვიედოს რაიონში გამოჩნდა ერთი ყუმბარმტყორცნი „ჟუნკერსი", რომელსაც თან ახლდა „ჰაინკელის" 5 ავიაგამანადგურებელი. თვითმფრინავებმა გადმოჭყარეს რამდენიმე ყუმბარა, რომლებსაც ზიანი არ მიუყენებიათ. რესპუბლიკელთა საზენიტო ტყვიამფრქვევების სროლის შემდეგ თვითმფრინავები უკან გაბრუნდნენ.

მეამბოხეთა ბანაკიდან რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოვიდა 4 ჯარისკაცი, რომელმაც თან მოიტანა შაშანები და მრავალი ხელყუმბარა.

სანტანდერის ფრონტზე მთავრობის ჯარები განაგრძობენ გუშინ დაწყებულ შეტევას. დღეს რეინოსის სამხრეთ - აღმოსავლეთით მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ლორის მაღლობი, რომელიც წარმოადგენს გასაღებს შემდგომი წინწაწევისათვის ბურგოსისაკენ.

ესპანეთის კომპარტიის პოლიტბიუროს სხდომის რეზოლუცია

ვალენსია, 31 მარტი (საქდესი). კომუნისტურმა პრესამ გამოაქვეყნა ესპანეთის კომპარტიის პოლიტბიუროს სხდომის ოქმის ამონაწერი. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ პოლიტბიურო, რომელმაც განიხილა გვადალახარის და სამხრეთ ფრონტებზე უკანასკნელი ბრძოლების შედეგად შექმნილი ახალი სიტუაცია, აღნიშნავს, რომ ამ ოპერაციებში გამოჩეულ ვდნენ ბრძოლის უნარიანობა სახალხო არმიისა, რაც მტკიცედ ნამდვილი გამარჯვების პერსპექტივებს იძლევა.

უნდა მოველოდეთ, რომ შინაური და უცხოური ფაშიზმი კონტრშეტევის სასოწარკვეთილ ცდას მიპმართავს, კონტრშეტევისა, რისთვისაც ესპანეთის ფაშისტური ორგანიზაციები უკვე გაუმეორებლად ამზადებენ პოლიტიკას, ეს იყო უკიდურესობა, რომელიც ჩვენ დიდ მსხვერპლად დაგვიჯდა. თუ ახლა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ხელს ჰკიდებს რა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას, განიზრახავს ჩამორთმეულ მეურნეობას, მაშინ ეს იქნება მეორე უკიდურესობა, რომელიც ჩვენ ისევ მსხვერპლად დაგვიჯდება. არ შეიძლება ერთი უკიდურესობიდან მეორეს აწყდებოდე.

ესპანეთის ფაშისტური ორგანიზაციების ტერორისტული მოქმედება

ბილბაო, 31 მარტი (საქდესი). ფაშისტურმა ორგანიზაციებმა ტერორისტული მოქმედება დაიწყეს ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ასტურიის ფრონტზე, ოვიედოს რაიონში, ესკამპლეროს რაიონში, გერნიკის ჩრდილოეთით, მეამბოხეებმა რესპუბლიკელთა პოზიციებს ტყვიამფრქვევების ძლიერი სროლა აუტეხეს და შეეცადნენ შეტევაზე გადმოსვლას, მაგრამ რესპუბლიკელებმა ეს ცდა მოიგერიეს სროლით.

ოჩანდიანოს უბანზე. ვილარეალის ჩრდილოეთით, რესპუბლიკელთა მზვერავი რაზმი მტერს მოექცა ზურგში, სადაც ხელთ იგდო მრავალი სამხედრო მასალა, შემდეგ მიყრუებული ბილიკებით, მეამბოხეთა შეუმჩნეველად, დაბრუნდა თავის პოზიციებზე ისე, რომ ზარალი არ მოსვლია.

ამურიოს სამხრეთით არტილერიის სროლაა.

„დეილი უორკერი" ამხანაგ სტალინის მიერ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე გაკეთებული მოხსენების შესახებ

ლონდონი, 31 მარტი (საქდესი). ინგლისის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „დეილი უორკერი" მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ ამხანაგ სტალინის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტს მთელი საერთაშორისო მუშათა კლასისათვის.

„სტალინის მიერ მოცემული გამჭრიახი ანალიზი საბჭოთა კავშირის მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი თავისებურებებისა კაპიტალისტური მსოფლიოს მიმართ, — სწერს გაზეთი, — და სტალინის მხრივ ტროცკიზმის, როგორც ომის ფაშიზმი და იმპერიალისტური გამჩაგრების აგენტის, კონტრრევოლუციური როლის, დახასიათება წარმოადგენენ მარქსიზმ - ლენინიზმის პრინციპთა ბრწყინვალე გამოყენებას".

საჭიროა, — სწერს დასასრულ გაზეთი, — წავიკითხოთ და შევისწავლოთ ამხანაგ სტალინის მოხსენება და მისაწვდომი გავხადოთ იგი მუშათა მასებისათვის.

◇ ◇ ◇

აბისინიაში მღელვარებაა

რომი, 31 მარტი (საქდესი). გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომლიდანაც სჩანს, რომ იტალიის მეფის მოადგილემ აბისინიაში გრაციანიმ უკანასკნელი თვედასნახევრის დროს რამდენიმე ათეული ჭრილობა მიიღო და რომ რეპრესიების წესით გადასწვეს ადგილობრივ მკვიდრთა სოფლები. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა გავეცნოთ აბისინიიდან მიღებულ კორესპონდენციას, რომელიც „პოპოლო დ. იტალიაში" დაიბეჭდა. „ამჟამინდელ რაიონს, რომელიც აგებულია სადგურ იახრომის ახლოს, ეს იმ ადგილას, სადაც ეს ძველი ქალაქი იყო, ვოლგის მოედანი ეწოდება. ამ ადგილიდან, სადაც ეს ძველი ქალაქი იყო, ვოლგის წყალი მოედო ყოფილ ბაზრის მოედანს და მიადგა კორჩეველთა საყვარელ სასეირნო ადგილს — ქალაქის ბულვარს.

წყალი კვლავ მატულობს. ჯერ-ჯერობით წყალს არ დაუფარავს ყოფილი ქალაქის მხოლოდ ყველაზე შემაღლებული ადგილები. რამდენიმე დღის შემდეგ ისინიც დაიმალებიან ახალი „მოსკოვის ზღვის" წყალში.

სურათზე: კარამიშევის კაშხალის საერთო ხედი ქვემო ბიეფიდან

მთავრობის კრიზისი კატალონიაში მოგვარებულია

ბარსელონა, 1 აპრილი (საქდესი). კატალონიის წინანდელი მთავრობის მეთაურმა ტარადელიასმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ახალი მთავრობის შედგენა, განაცხადა, რომ მთავრობის კრიზისი მოგვარებულია. ტარადელიასის სიტყვით, ახალ მთავრობაში შევლენ სხვადასხვა პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები იმავე პროპორციით, როგორითაც წინანდელ მთავრობაში იყვნენ. 1 აპრილს შესდგება ახალი მთავრობის სხდომა.

თავთავიანი მარცვლეულის თესვა დავამთავრეთ

ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას.

თელავის რაიონმა სგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეულის თესვის გეგმა პირველი აპრილისათვის გადაჭარბებით შეასრულა. დათესლა ნაცვლად 3.520 ჰექტარისა, 3.530 ჰექტარი. სიმინდის და სხვა კულტურების თესვა დაწყებულია.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი ს. კარსანიძე.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა

მიწსახკომის 31 მარტის ცნობებით

რაიონები	საგაზაფხულო ხვნა კოლმეურნეობებში		თესვა საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში	
	მიმდინარე წლის გეგმის პროცენტებით	გეგმის შესრულების პროც.	დათესილია ჰექტარებით	გეგმის შესრულების პროც.
ახალქალაქი	47	0,2	392	1,1
ბოგდანოვკა	400	4,4	150	0,7
ახალციხე	1252	35,7	3172	25,2
ადიგენი	249	26,1	353	4,3
ასპინძა	309	16,7	1662	17
ხაშური	5154	76,2	5422	21,8
გორი	7868	55,5	3577	12
ქასპი	5801	84,5	3505	32,8
ბორჯომი	488	14,6	617	10,4
გურჯაანი	6404	79,3	4478	34
სიღნაღი	11726	75,8	10909	50,1
თელავი	5563	72	3806	22,5
ყვარელი	2014	43	518	6,9
ლაგოდეხის	2082	66,4	1305	13,5
თბილისი	7399	89,5	6938	52
ყარაია	2219	104,6	570	16,7
ბორჩალო	4211	80,1	1492	16,6
ლუქსემბურგი	1730	49,4	2315	39,5
წალკა	1198	9,1	1334	5,8
დუშეთი	2470	50,8	1140	9,6
ალბულაღი	3203	54,5	3469	30
ხაგარეჯო	4460	42,7	3710	27
ბაშკიჩეთი	1029	18,1	316	3,1
თიანეთი	766	16,7	1074	12,3
ყაზბეგი	4	1,9	—	—
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	7543	58,2	7542	26,8
სულ აღმოსავლ. საქ.	85589	45,2	69766	19,3
ქუთაისი	8598	71,7	1809	6,8
სამტრედია	8853	93,4	61	0,4
წულუკიძე	3566	71,5	171	1,6
ვანი	5153	101	121	1,2
ბაღდადი	3125	71,9	221	3,5
ჯუმლატი	2555	86,6	1278	13,2
ჩხარი	2682	48,3	2450	27,2
ჭიათურა	6974	42,7	3341	11,8
ორჯონიკიძე	1195	14,2	411	3,8
ტყიბული	1245	24,6	1137	12,4
ონი	432	10,1	432	6,7
ამბროლაური	964	13,9	979	11,8
ცაგერი	807	21,7	681	7,8
ქვემო-სვანეთი	—	—	—	—
აბაშა	9744	80,3	—	—
ცხაკაია	7316	66,8	35	0,5
ზუგდიდი	7047	95,6	19	0,1
ზუგდიდი	6359	76,2	110	0,6
ხობი	4271	75,9	—	—
წალენჯიხა	987	55,1	50	0,7
ჩხოროწყუ	1742	36	—	—
მახარაძე	3028	55,3	12	0,2
ლანჩხუთი	4105	49,8	—	—
ჩოხატაური	2575	57,2	19	0,2
ზემო-სვანეთი	—	—	75	3,6
ფოთი	626	92,7	28	2,4
აფხაზეთის ასსრ	25277	66,2	303	0,5
აჭარის ასსრ	751	16,8	47	0,2
სულ დასავ. საქ.	120553	58,6	13850	3,8
სულ რესპუბლიკაში	206142	52,2	83616	11,9

გარდა ამისა, ხაბჭოთა მეურნეობებში დათესილია 3.913 ჰექტარი (გეგმა 8.900 ანუ 44 პროცენტი. სულ რესპუბლიკაში დათესილია 87.529 ჰექტარი — გეგმა (787.720) 11,9 პროცენტი.

იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნა

ტოკიო, 31 მარტი (საქდესი). პრესის ცნობებით, ხაიასის მთავრობამ წინადადება მისცა იმპერატორს დაითხოვოს ქვედა პალატა. ოფიციალურ გაზეთ „კაბპოს" სანგანგამო გამოცემაში გამოქვეყნებულია იმპერატორის ბრძანება ქვედა პალატის დათხოვნისა და ზედა პალატის მუშაობის შეწყვეტის შესახებ. ქვედა პალატის ახალი არჩევნები დანიშნულია 30 აპრილისათვის.

ტოკიო, 31 მარტი (საქდესი). ქვედა პალატის უპრეცედენტო დათხოვნა, ოცი წოხდა პარლამენტის სესიის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე, პოლიტიკური წრეების შეფასებით, არ არის სავსებით მოულოდნელი, ვინაიდან პოლიტიკური პარტიებისა და კაბინეტის, განსაკუთრებით სამხედრო ხელისუფალთა, ურთიერთდამოკიდებულება მთელი სესიის განმავლობაში დაძაბული იყო. იაპონიის პრესა ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ აღნიშნავდა „პოლიტიკურ პარტიებისა და კაბინეტის შეუთანხმებლობის მრისხანე ნიშნებს" და წინასწარმეტყველებდა დიდი პოლიტიკური კრიზისის წარმოშობის შესაძლებლობას, როგორც კი პარლამენტის სესია დამთავრდებოდა. შეუთანხმებლობა კაბინეტსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის,—გაზეთების სიტყვით,—განსაკუთრებით გაღრმავდა 29 და 30 მარტს, როდესაც გამოირკვა, რომ სეიუკაისა და მინსეიტოს პარტიები აჭიანურებენ მთავრობის მთელ რიგ კანონპროექტთა დამტკიცებას ქვედა პალატის მიერ, მათ შორის ისეთი კანონპროექტებისა, რომლებიც ეხებიან თუჯასხმელ და ლითონსხმელ მრეწველობას, „სამხედრო საიდუმლოებათა დაცვასა და სხვ. ამ პარტიებმა მოითხოვეს, რათა მთავრობას ხელი შეეწყო ზედაპალატის მიერ იმ კანონპროექტის დამტკიცებისათვის, რომელიც შეეხება ქვედა პალატის მიერ ხსენებული პარტიების ინიციატივით მიღებულ სარჩევნო კანონის შეცვლას. მოლაპარაკებას კომპრომისის შესახებ, რაც 30 მარტს სწარმოებდა, შედეგები არ მოჰყვა, და მთავრობამ, რომელმაც უკვე უზრუნველჰყო 1937-38 წლის ბიუჯეტის მიღება, როგორც გაზეთები სწერენ, საზღვაო მინისტრ იოხაის წინადადებით, რასაც მხარი დაუჭირა სამხედრო მინისტრმა სუგიიამამ, დღეს დღით მაღლა გადაწყვეტილება ქვედა პალატის დათხოვნის შესახებ, და ამგვარად ცოტა დაგვიანებით გახახორციელა ყოფილ სამხედრო მინისტრის ტერაუჩის მიერ წამოყენებული მოთხოვნა პოლიტიკურ პარტიებისათვის ლახვარის ჩაცემის შესახებ.

პალატის დათხოვნის მიზეზთა განმარტების მაზნით, დღეს გამოქვეყნდა ხაიასის მთავრობის დეკლარაცია. დეკლარაციაში მოყვანილია ის ბრალდებანი, რომლებითაც სამხედრო წრეები მუდმივ სარგებლობენ პოლიტიკურ პარტიებზე თავდასხმებისათვის.

როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, დეკლარაციაში ნათქვამია: „თავი რომ გავართვათ ახლანდელ მდგომარეობას ქვეყნის შიგნით და გარეთ, საჭიროა უზრუნველვყოთ სრული თანამშრომლობა მთავრობის მოხელეებსა და საზოგადოების შორის. ამ პრინციპის მიხედვით, კაბინეტი იმთავითვე სრულ გულწრფელობას იჩენდა პარლამენტის მიმართ და მთელ ძალღონეს ხმარობდა სხვადასხვა კანონის გასატარებლად. მაგრამ მდგომარეობამ ქვედა პალატაში მთელ რიგ მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხილვასთან დაკავშირებით დაარწმუნა მთავრობა, რომ ქვედა პალატა მოკლებულია გულწრფელობას. პალატამ შეაფერხა მრავალი ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხილვა, რომლებიც მეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფო თავდაცვასა და ხალხის ცხოვრებასთან. მთავრობას ეჭვი შესდის, რომ გულწრფელი იყოს ქვედა პალატის მისწრაფება—ხელი შეუწყოს კონსტიტუციონალიზმის განვითარებას, და რომ გულწრფელი იყოს ქვედა პალატა იმ მძიმე მდგომარეობის სრულ გაგებაში. რომელსაც იაპონია განიცდის. აქედან—დღითიდღე სავსებით დასაბუთებულად აყენებენ მოთხოვნას პარლამენტის სასწ

სსრ კავშირის 1937 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

გასულ 1936 წელს—მეორე ხუთ-ნეობის მთელი რიგი დარგების ჩამორჩენა მათი ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმეში. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მსუბუქი და სატყეო მრეწველობის, აგრეთვე წყალთა ტრანსპორტის შესახებ, რომელთაც ჯერ კიდევ ნაკლებად წაიწიეს წინ როგორც თავისი ტექნიკური ხელსაბალი შეიარაღების გზაზე, ისე მათ განკარგულებაში უკვე არსებული ახალი ტექნიკისა და ახალ საწარმოთა ათვისებაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგებს მიღებული აქვთ მანქანებისა და ფულად საშუალებათა საკმაო რაოდენობა. მრეწველობისა და ტრანსპორტის ამ დარგების ტექნიკური ჩამორჩენილობა, მათი კადრების ჩამორჩენილობა და ორგანიზაციის ნაკლოვანებანი უკვე ახლა უარყოფით გავლენას ახდენენ სახალხო მეურნეობაზე და მოითხოვენ უსწრაფეს ღონისძიებებს მათი დაძლევისათვის.

საამშენებლო საქმის მოწესრიგებისა და **საამშენებლო** ინდუსტრიის შექმნის **დარგში** იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც დასმულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით, გადადგმულია, მძიმე მრეწველობაშიაც კი, მხოლოდ პირველი და ჯერ კიდევ სრულიად არასაკმაო ნაბიჯები. გასული წლის საამშენებლო გეგმის შესრულებაში საგრძნობი ჩამორჩენა გვაქვს. მშენებლობის ღირებულება კვლავ უზომოდ მაღალია.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ, მთლიანად მრეწველობაში საწარმოო პროგრამის გადაჭარბებით შესრულებისას, თავისი წლიური გეგმების შესრულებაში საგრძნობლად ჩამორჩნენ ისეთი დარგები, როგორიცაა ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობა, ფერადი მეტალურგია, **სატყეო, სელის** მრეწველობა და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგი. ბევრ შემთხვევაში საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულება მიღწეულ იქნა წარმოების გაიაფების შესახებ სახელმწიფო დავალებათა ჩაშლის ზედმეტი სამუშაოების და მეტად დიდი პრემიების ფართოდ გამოყენების გზით, რაც განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული წლის ბოლოს, ნედლეულის ზედმეტად ხარჯვის, სათბობის გადახარჯვისა და პროდუქციის ხარისხის გაუარესების გზით. ყოველივე ეს მეტად უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფოს ინტერესებზე და აშკარად ზიანს აყენებს მუშებსა და ყველა შრომელთ, ხელს უშლის რა ფართო მოხმარების საქონლის ფასთა უსწრაფეს დაკლებას.

სამეურნეო ორგანოთა და საწარმოთა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ წარმოებისა და მშენებლობის ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა ხელფასის სწორი ორგანიზაცია შრომის ნაყოფიერების ზრდის ჯეროვანი წახალისების დაწესებით, სტახანოვური მოძრაობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობათა უზრუნველყოფა და მუშათა შორის ცალკეულ სტახანოველთა გამოცდილების შეუპოვრად გავრცელება, ახალი, საჭით შემოწმებული ტექნიკური ძალების დაწინაურება და მათი მუშაობის ყოველდღიური შემოწმება, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ყოველნაირად ამაღლება.

მსხვილ ნაკლოვანებებს წარმოადგენს დისციპლინის სისუსტე სახელმწიფო დაწესებულებებში, მოდუნება და დაუდევრობა სამეურნეო ორგანიზაციებში, განსაკუთრებით ხელშეკრულებითი ვალდებულებების შესრულებაში, რის შედეგად ირღვევა მოწყობილობითა და მასალით მომარაგების გეგმები, ძნელდება საწარმოო პროგრამების შესრულება, ჭიანურდება მშენებლობის ვადები, იზრდება წარმოებისა და მშენებლობის თვითღირებულება.

იაპონელ-გერმანელ-ტროცკისტთა აგენტების მავნებელურ-ძირგამომთხრელმა მუშაობამ მრეწველობაში და ტრანსპორტზე, რაც შარშან იქნა მხილებული, ცოტა ზიანი როდი მიაყენა სახალხო მეურნეობის განვითარებას. ტროცკისტებმა, რაკი ისინი მხილებულ და სასტიკად დამარცხებულ იქნენ აშკარა ბრძოლაში სოციალიზმის მშენებლობის წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში, რაკი მათ წაერთვათ შესაძლებლობა აშკარად და ლეგალურად შეეშალათ ხელი სოციალისტური მეურნეობის ზრდისათვის, გადაიქცნენ რა უცხოეთის ბანდიტურ აგენტურად, გააჩაღეს თავისი ბრძოლა არალეგალური, ყოველნაირად შენიღბული, ჯაშუშურ-დივერსიული გზებით. მათმა დანაშაულებრივმა მუშაობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ბევრ სამეურნეო და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციაში, აგრეთვე კოოპერაციაში. ამასთან ერთად, მათი უუნარობა ხელი შეუშალონ სოციალისტური მეურნეობის სწრაფ ზრდას, წარმოადგენს იმის ახალ დამამტკიცებელ საბუთს, რომ ჩვენი ორგანოების მუშაობის უკეთ მოწყობისას, საბჭოთა წყობილებისადმი მტრულად განწყობილ ძალებთან ბრძოლის ნამდვილად გაძლიერებისას, ჩვენ შეგვეძლო მოგვეპოვებია კიდევ უფრო დიდი წარმატებანი, ვიდრე ისინი, რომლებიც უკვე მოვიპოვეთ.

ამავე დროს, ტროცკისტ და უცხოეთის მავნებელ-დივერსანტების გამოვლინება და მხილება ხშირად მიმდინარეობდა ისე, რომ ზოგიერთ სამეურნეო ხელმძღვანელს პირდაპირ ესმოდა თავისი მოვალეობა მათთან ბრძოლის მხრივ.

ასეთი მდგომარეობა შეიძლებოდა შექმნილიყო მხოლოდ იმის შედეგად, რომ კომუნისტ-სამეურნეო მუშაკების, ინჟინრების, ტექნიკოსების და სხვა ხელმძღვანელი მუშაკების საგრძნობმა ნაწილმა გამოჩინა აშკარა პოლიტიკური სიბეცე, თვითდამშვიდება და ობივატელური უდარდელობა, რაც დაუშვებელია ნამდვილი საბჭოთა ხელმძღვანელებისათვის. ეს მოწმობს აგრეთვე იმას, რომ ადგილი აქვს ერთმმართველობის პრინციპის დაუშვებელ ბიუროკრატიულ დამახინჯებას, რაც იმით გამოიხატება, რომ ბევრ სამეურნეო ხელმძღვანელს, ერთმმართველობის საფუძველზე თავისი თავი სრულიად თავისუფალი მიაჩნია მასებისა და რიგითი სამეურნეო მუშაკების საზოგადოებრივი აზრის კონტროლისაგან, ყურს არ უგდებს სამეურნეო-საწარმოო აქტივის ხმას, საჭიროდ არ თვლის დაეყრდნოს ამ აქტივს, სწყდება აქტივისა და მით ისპობს აქტივის დახმარებას იმ ნაკლოვანებათა და ხარვეზთა გამოვლინებისა და ლიკვიდაციის საქმეში, რომლებითაც სარგებლობენ მტრები მათი დივერსიული მუშაობისათვის.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო, აღნიშნავენ რა ამ ნაკლოვანებებს სამეურნეო მუშაობაში, მოითხოვენ ყველა სამეურნეო მუშაკისაგან გადამწყვეტ ბრძოლას მათ წინააღმდეგ და მათს რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრას. აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა წარმოადგენს აუცილებელ პირობას 1937 წ. სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო 1937 წლის—მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ ადგენენ:

I. მრეწველობის დარგში

1. დაწესდეს 1937 წლისათვის დაგეგმილი მთელი მრეწველობის **პროდუქციის** ხაზით 103 მილიარდი მანეთისა (1926-27 წ. წ. ფასებში), მათ რიცხვში მსხვილ მრეწველობაში — 97,5 მილიარდი მანეთისა, რაც შეადგენს ზრდას 20 პროცენტით 1936 წლთან შედარებით.

საწარმოო საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობის პროდუქციის ზრდა დაწესდეს 19,5 პროცენტით და მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობისა—20,8 პროცენტით.

2. დაწესდეს შემდეგი **საწარმოო დავალებანი** მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში (ნატურითა და მანეთობით 1926-27 წლის ფასებში):

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით (თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ერთად) . . .	40.095.000.000 მანეთი.
მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით	10.316.000.000 მანეთი.
კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით	11.430.000.000 მანეთი.
სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით	3.836.000.000 მანეთი.
ადგილობრივი მრეწველობის ხაზით	10.866.100.000 მანეთი.
ელექტროენერგიის გამომუშავებაში	40.500 მილიონი კილოვატსაათი.
ქვანახშირის დარგში . .	150.150 ათასი ტონა.
ნავთის დარგში	32.160 ათასი ტონა.
თუჯის დარგში	16.012 ათასი ტონა.
ფოლადის დარგში . . .	20.150 ათასი ტონა.
ნაგლინის დარგში . . .	15.623 ათასი ტონა.
მათ შორის ხარისხოვანი ნაგლინის დარგში . . .	2.704 ათასი ტონა.
მათ შორის პირველი ხარისხის რელსების დარგში	1.200 ათასი ტონა.
სპილენძის დარგში . . .	145 ათასი ტონა.
მსხვილი მრეწველობის მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების დარგში	30.300 მილიონი მანეთი.
ლითონმჭრელი დაზგები .	41.016 ცალი.
ორთქლმავლები (ე და სუპირ.)	1.900 ცალი.
სატვირთო ვაგონები და ცისტერნები (ოთხღერძიანი)	42.500 ცალი.
სამგზავრო ვაგონები . .	1.500 ცალი.
გემები (სამდინარო) . .	67.800 ინდ. ძალ.
ტრაქტორები	2.590 ათასი ცხენ. ძალ.
კომბაინები	55 ათასი ცალი.
ავტომობილები	220 ათასი ცალი.
მოწყობილობანი საფეიქრო მრეწველობისათვის .	440 მილიონი მან.
ლითონის ნაწარმი ფართო მოხმარებისა (1932 წლის ფასებში)	3.331 მილიონი მანეთი.
ველოსიპედები	900 ათასი ცალი.
მოტოციკლები	15 ათასი ცალი.
ფოტოაპარატები . . .	298.500 ცალი
ჯვიბისა და ხელის საათი .	550 ათასი ცალი.
პატეფონები	1.000.000 ცალი.
ფირფიტები	50 მილიონი ცალი.
მსხვილი მრეწველობის ქიმიური პროდუქციის დარგში	5.900 მილიონი მანეთი.
საჭიანი მერქნის და შეშის გამოზიდვის დარგში	273.700 ათასი კუბ. მეტრი.
დახერხილი მასალა . . .	38.800 ათასი კუბ. მეტრი.
ავეჯი	900 მილიონი მანეთი.
ქაღალდი	955.350 ტონა.
ბამბის ქსოვილი	4.084.100 ათასი მეტრი.
მატყლის ქსოვილი . . .	108.090 ათასი მეტრი.
აბრეშუმის ქსოვილი . .	58.270 ათასი მეტრი.
ფეხსაცმელი	190 მილიონი წყვილი.
ტრიკოტაჟის ნაწარმი . .	1.548 მილიონი მანეთი.
საგალანტერიო ნაწარმი .	714 მილიონი მან.
სამკერვალო პროდუქცია .	1.928.800 ათასი მან.
ხორცი	800 ათასი ტონა.
თევზი	18 მილიონი ცენტნერი.
შაქარი	2.600 ათასი ტონა.
საკონდიტრო ნაწარმი .	1.073.600 ტონა.
პური	17 მილიონი ტონა.
კონსერვი	1.425 მილიონი ქილა.

3. არსებული წესის შესაცვლელად დაწესდეს, რომ საწარმოს მიერ **გეგმის შესრულება** უნდა შეფასდეს არა საერთო პროდუქციის მიხედვით, არამედ იმ ხარისხისა და ასორტიმენტის მზა და კომპლექტური პროდუქციის გამოშვების მიხედვით, რ. მელიც დაწესებულია სახალხო კომისარიატის მიერ მოცემული საწარმოსთვის.

დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, მისცეს მითითებანი სსრ კავშირის სახალხო კომისარიატებსა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს გეგმის შესრულების აღრიცხვის იმ წესის გატარების შესახებ, რომელიც დადგენილია ამ გადაწყვეტილებით.

4. განისაზღვროს **შრომის ნაყოფიერების** ზრდა მრეწველობაში 1937 წელს 19,5 პროცენტით 1936 წლის საშუალო-წლიური დონის მიმართ, ხოლო მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის ზრდა—5,6 პროცენტით, მათ შორის:

	შრომის ნაყოფიერების ზრდა	მუშათა ხელფასის ზრდა
მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით . . .	19,8 პროც.	8,0 პროც.
მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით . . .	18,3 პროც.	6,4 პროც.
სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით (საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა	23,5 პროც.	4,5 პროც.
ხე-ტყის დამუშავების ხაზით	28,0 პროც.	25,0 პროც.
კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით . . .	19,2 პროც.	4,3 პროც.
ადგილობრივი მრეწველობის ხაზით	19,0 პროც.	5,4 პროც.

ახალი ტექნიკის ათვისებაში უკვე მიღწეულ წარმატებათა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების გამო, რაც გამოიხატება გამომუშავების წინათ დაწესებული ნორმების საგრძნობი გადაჭარბებით შესრულებაში, გადაისინჯოს მრეწველობის ცალკეულ დარგებში და მშენებლობის ხაზით გამომუშავების ნორმები მათი გადიდების მხრივ.

5. განისაზღვროს სამრეწველო პროდუქციის **თვითღირებულების შემცირება** 1937 წელს 3,1 პროცენტით 1936 წლის—საშუალო-წლიურ დონესთან შედარებით, მათ შორის:

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—4,5 პროცენტი.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით — 1,6 პროცენტი.

სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით (საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა)—4,5 პროცენტი.

ხე-ტყის დამუშავების ხაზით—7,5 პროცენტი.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—0,6 პროცენტი.

ადგილობრივი მრეწველობის ხაზით—4,6 პროცენტი.

6. დაეყაროს ყველა სამეურნეო ორგანიზაციას გაატაროს 1937 წელს ქვანახშირის სათბობის ხარჯვის ნორმების შემცირება—საშუალოდ არანაკლებ, ვიდრე 10 პროცენტით, და ნავთის სათბობისა არანაკლებ, ვიდრე 12 პროცენტით, ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯვის შემცირება ყველა მომხმარებლის მიერ არანაკლებ, ვიდრე 10 პროცენტით, ხარჯვის ნორმების შემცირება ლითონდამუშავებელ მრეწველობაში: შავი ლითონებისა — 8-10 პროცენტით და ფერადი ლითონებისა—არანაკლებ, ვიდრე 15 პროცენტით, 1936 წლის ნორმებთან შედარებით, აგრეთვე მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ხე-ტყის მასალის ეკონომიურად ხარჯვისათვის.

7. დაწესდეს **კაპიტალურ სამუშაოთა ოდენობა** მთელს მრეწველობაში 13.928 მილიონი მანეთისა, აქედან მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით (თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ერთად). 8.667 მილიონი მანეთი, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—1.010 მილიონი მანეთი, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—1.406 მილიონი მანეთი, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით — 970 მილიონი მანეთი და ადგილობრივი მრეწველობის ხაზით—770 მილიონი მანეთი.

8. დაეყაროს მძიმე, სატყეო, მსუბუქი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, კაპიტალურ სამუშაოთა იმ საერთო გეგმის შესრულებისას, რომელიც ამ გადაწყვეტილებით არის დაწესებული, უზრუნველჰყონ შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოთა მშენებლობის რაც შეიძლება უფრო სწრაფი გაშლა და **ამუშავება:**

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით

ა) ელექტრომშენებლობის ხაზით: ამუშავებულ იქნეს ახალი სიმძლავრენი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ელექტროსადგურებში 1.469 ათასი კილოვატი, მათ შორის თბოსადგურებში — 891 ათასი კილოვატი, ჰიდროსადგურებში—153 ათასი კილოვატი და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სარეწველო ელსადგურებში—425 ათასი კილოვატი; მაღალვოლტიანი ქსელების მშენებლობა—2.161 კილომეტრი.

ბ) ქვანახშირის მრეწველობაში: ამუშავებულ იქნეს ქვანახშირის 16 შახტი 7.470 ათასი ტონის სიმძლავრისა, უზრუნველყოფილ იქნეს 21,5 მილიონი ტონის სიმძლავრის 23 ახალი შახტის მშენებლობის დაწყება.

გ) ნავთის მრეწველობაში: უზრუნველყოფილ იქნეს შესრულება ბურღვის გეგმისა 2.800 ათასი მეტრის ოდენობით და 2.100 ახალი ჭაბურღილის ამუშავება, აგრეთვე 1.500 მცირედებიტიანი ჭაბურღილისა იმათ რიცხვიდან, რომელთა აღდგენაც სწარმოებს. ამუშავებულ იქნეს 8 ახალი კრეკინგი; განხორციელდეს გეგმაში დასახული სამუშაოები გერმეტიზაციის ხაზით, აგრეთვე ნავთსაწყობთა მშენებლობის დარგში.

დ) შავი მეტალურგიის დარგში: ამუშავდეს 5 ბრძმედი, 10 მარტენის ღუმელი, 3 ბესემერის საამქრო, 14 საგლინავი დაზგა, მათ რიცხვში 3 ბლუმინგი და 1 თხელფურცლოვანი დაზგა „ზაპოროჟსტალისათვის“, 1 მილსაგლინავი დაზგა, 8 მილჭამომსხმელი კარუსელი.

ე) ფერადი მეტალურგიის დარგში: ამუშავდეს პრიმალაშის სპილენძსადნობი კომბინატის, ბლიავინსკის სპილენძის და გოგირდის კომბინატის, ურალის ალუმინის ქარხნის პირველი რიგი სამუშაოები, შუაურალის გამაუხვებელი ფაბრიკა, ტიხვინის თიხა-მიწის ქარხანა, რიდერსკის გამაუხვებელი ფაბრიკა, პირველი რიგის ძალოვანი კაბელების საამქრო მოსკოვის საკაბელე ქარხანაში.

ვ) ფერადი მეტალურგიის დარგში: ამუშავდეს პრიმალაშის სპილენძსადნობი კომბინატის, ბლიავინსკის სპილენძის და გოგირდის კომბინატის, ურალის ალუმინის ქარხნის პირველი რიგი სამუშაოები, შუაურალის გამაუხვებელი ფაბრიკა, ტიხვინის თიხა-მიწის ქარხანა, რიდერსკის გამაუხვებელი ფაბრიკა, პირველი რიგის ძალოვანი კაბელების საამქრო მოსკოვის საკაბელე ქარხანაში.

ზ) ცემენტის მრეწველობის დარგში: ამუშავდეს 1937 წელს ახალი სიმძლავრენი ცემენტის მრეწველობაში 800 ათასი ტონის რაოდენობით.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით

ა) უზრუნველყოფილ იქნას 1937 წელს ქაღალდის მრეწველობის სიმძლავრის გადიდება 151 ათასი ტონით და ცელულოზის ქარხნებისა—202 ათასი ტონით, მარილისა და ინგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატების და არახანგელსკის ცელულოზის ქარხნის ამუშავება, კამის, კონდოპოჟსკის, ვიშერსკის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატების და სოლომბალსკის ცელულოზის ქარხნის მშენებლობის დამთავრება, კრასნოიარსკის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის და სოლიკამსკისა და კოტლასის ცელულოზის ქარხნების გაშლილი მშენებლობა.

ბ) აშენდეს და ამუშავდეს 1937 წელს გეგმით დასახული 617 კილომეტრი ფართოლიანდაგიანი რკინიგზა, 321 კილომეტრი ვიწროლიანდაგიანი გზა ხე-ტყის გამოსატანად.

გ) უზრუნველყოფილ იქნას ხე-ტყის ხერხვის გაშლა ახალ სატყეო რაიონებში დაწესებული გეგმის შესაბამისად.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით

ა) დაწესდეს 1937 წელს 450 ათასი კომპლექტური თითისტარი ბამბის სართავ ფაბრიკებში, მათ რიცხვში 200 ათასი თითისტარი **ბამბეულის** ფაბრიკების მოქმედი საამქროების თავისუფალ ფართობებზე; გაიშალოს ტაშკენტისა და ბარნაულის ბამბეულის კომბინატებისა და ნოვოსიბირსკის და თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატების სართავი ფაბრიკების მეორე რიგის მშენებლობა.

ბ) დამთავრდეს და ამუშავდეს სმოლენსკის და ორშანსკის სელის კომბინატები და გაიშალოს ვოლოგდის, ბეჟეცკის, გლაზოვსკის და ვიაზმის სელის კომბინატების მშენებლობა.

გ) უზრუნველყოფილ იქნას წმინდა მაუდის კომბინატის მშენებლობა კიევში და მაუდის კომბინატისა სემიპალატინსკში, აგრეთვე ლანცუტკის სახელობის კამოლის კომბინატის რეკონსტრუქცია.

დ) ამუშავდეს 1937 წელს კიევის ხელოვნური ბოჭკოს ფაბრიკის პირველი რიგი.

ე) ამუშავდეს 1937 წელს რეზინის ფინის ქარხანა კალინინში, ფერადი რეზინის ფინის საამქრო ივანოვოში, ხელოვნური ტყავის კომბინატი კიროვში და გაიშალოს ქრომის ახალი ქარხნის მშენებლობა.

ვ) ამუშავდეს შეშენული ტარის ორი ქარხანა.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით.

ა) უზრუნველყოფილ იქნას ამუშავება კოლომნის თევზგადამმუშავებელი კომბინატისა, თევზკონსერვის ქარხნისა შორეულ-აღმოსავლეთის მხარეში, მაცივრებისა შორეულ-აღმოსავლეთის მხარეში, რეფრიჟერატორისა ჩრდილო-კასპიის რაიონში, აგრეთვე 4 ტრაულერისა.

ბ) ამუშავდეს ორსკისა და ულანუდეს ხორცკომბინატები, 3 მაცივარი და 7 საძეხვე საამქრო ხორცის მრეწველობაში.

გ) ამუშავდეს კუპიანსკისა და ყერდეულის შაქრის ახალი ქარხნები და გაიშალოს ელან-კოლენოვსკის შაქრის ქარხნის მშენებლობა, აგრეთვე ვინიცის, ჩიჩერინსკის, მიქოიანოვსკისა და შპოლიანსკის შაქრის ქარხნების რეკონსტრუქცია.

დ) დამთავრდეს მშენებლობა და ამუშავდეს ძვალგადამმუშავებელი ქარხნები მოგილიოვსა და ენგელსში.

ე) ამუშავდეს პურის 19 ქარხანა.

ვ) ამუშავდეს მარიისკის სპირტის ქარხანა.

ზ) გაიშალოს 10 საკონდიტრო ფაბრიკის მშენებლობა.

9. **მავნებლობის** შედეგთა უსწრაფესი **ლიკვიდაციის** მიზნით დაეევალოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და გაატაროს ღონისძიებანი იმ ხელოვნურ გათიშვათა და დისპროპორციის სალიკვიდაციოდ, რომლებიც მავნებლებმა შეჰქმნეს ცალკე საამქროებსა, ქარხნებსა და მრეწველობის დარგებს შორის; შეამციროს უმნიშვნელოვანესი ქარხნებისა და შახტების მშენებლობის ვადები, შემოიღოს საწარმოთა მუშაობის სასტიკად რეგლამენტირებული რეჟიმი და უშიშროების ტექნიკის წესები, აგრეთვე მათი შესრულების კონტროლი, განსაკუთრებით ქიმიურსა და ქვანახშირის მრეწველობაში; უზრუნველჰყოს შემოწმებული ადამიანებისა და სპეციალური კომისიების მიერ, რომლებსაც დანიშნავს სახალხო კომისარი, სწრაფი გამოკვლევა ყველა ავარიისა—დამნაშავეთა აღმოსაჩენად და ამ ავარიათა მიზეზების აღმოსაფხვრელად.

სატყეო, მსუბუქი, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატებმა და მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა უზრუნველჰყონ სათანადო ღონისძიებათა გატარება თავის უწყებაში შემავალი მრეწველობის დარგებში.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს—შეიმოწმოს სახკომისარიატების მიერ ამ ღონისძიებათა გატარება.

II. სოფლის მეურნეობის დარგში

1. დაწესდეს 1937 წლის მოსავლის **სათესი ფართობის** საერთო ოდენობა 138.910 ათასი ჰექტარი, მათ რიცხვში ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში—13.520 ათასი ჰექტარი, აქედან საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში —7.751 ათასი ჰექტარი და კოლმეურნეობებში (კოლმეურნეთა საკარმიდამო ნათესებთან ერთად)—123.024 ათასი ჰექტარი.

2. დაწესდეს **მარცვლეული** კულტურების სათესი ფართობის ოდენობა 103.960 ათასი ჰექტარი, აქედან სავაჭაფხულო მარცვლეულისა — 65.435 ათასი ჰექტარი, მათ რიცხვში კოლმეურნეობებში 57.850 ათასი ჰექტარი. საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში 4.310 ათასი ჰექტარი და ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში—6.865 ათასი ჰექტარი.

3. დაწესდეს **ტექნიკური** კულტურების სათესი ფართობის საერთო ოდენობა 11.031 ათასი ჰექტარი, მათ რიცხვში:

ბამბისა—2.090 ათასი ჰექტარი.

გრძელბოჭკოვანი სელისა—2.067 ათასი ჰექტარი.

ხუჭუჭა სელისა—362 ათასი ჰექტარი

შაქრის ჭარხლისა — (საფაბრიკო) —1.191 ათასი ჰექტარი, მზესუმზირის—3.109 ათასი ჰექტარი.

4. პირუტყვის საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით 1937 წლისათვის დაწესდეს **პირუტყვის საკვები კულტურების** სათესი ფართობი 13.684 ათასი ჰექტარი, აქედან ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში—2.964 ათასი ჰექტარი, მათ რიცხვში საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში—1.499 ათასი ჰექტარი, კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში—10.706 ათასი ჰექტარი.

ერთწლოვან ბალახთა თესვის გეგმა დამტკიცდეს 5.478 ათასი ჰექტარის ოდენობით; მრავალწლოვანი ბალახებისა (საფარქვეშ და უსაფარო)—6.158 ათასი ჰექტარი, მათ რიცხვში: სამყურასი—3.800 ათასი ჰექტარი და იონჯისა—1.687 ათასი ჰექტარი; პირუტყვის **სტაციები** ძირნაყოფებისა —1.048 ათასი ჰექტარი; სასილოსო კულტურებისა—951 ათასი ჰექტარი.

დაწესდეს მრავალწლოვანი ბალახების სათესლეების დატოვების გეგმა 1.100 ათასი ჰექტარის ოდენობით და კორდებისა და საძოვრების გაუმჯობესების გეგმა—9.200 ათასი ჰექტარის ოდენობით.

5. სამიწათმოქმედო ორგანოების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ღა კოლმეურნეობების წინაშე **ძირითად ამოცანად** იქნას დასახული ამოცანა მიიღწიონ 1937 წელს ყველა კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვან აღმავლობას მიწათმოქმედების სტახანოველთა გამოცდილებისა და შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების მთლიანად გამოყენებისა და მოწინავე აგროტექნიკის დანერგვის საფუძველზე.

დაწესდეს ერთ ჰექტარზე მოსავლიანობის შემდეგი დავალებანი **საშუალოდ სსრ კავშირში:**

	ცენტნერი
ყველა მარცვლეული კულტურისა	10.4
სარწყავი ბამბისა . . .	1
ურწყავი ბამბისა . . .	
გრძელბოჭკოვანი სელისა	4
შაქრის ჭარხლისა—კოლმეურნეობებისათვის . .	205
შაქრის ჭარხლისა — შაქრის მთავარ სამმართველოს საბჭოთა მეურნეობებისათვის	215
მზესუმზირისა	8.7
თამბაქოსი	10,5
წეკოსი	17,5
კართოფილისა	120

6. დაწესდეს 1937 წელს კოლმეურნეობებისათვის **წმინდა ანეულის** მოხვნის გეგმა 29,05 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, **მძრალად ხვნის** გეგმა 65 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, მარცვლეულის თესვა **ხარისხოვანი თესლით** 57,7 მილიონ ჰექტარ ფართობზე, აქედან საგაზაფხულო კულტურებისა—35 მილიონ ჰექტარზე.

დამტკიცდეს 1937 წლისათვის **უამრის** გატეხვა 880 ათას ჰექტარ ფართობზე, მათ შორის არაშავნიადაგიანი ზოლის ცენტრალური რაიონებში—570 ათასი ჰექტარი.

7. დაწესდეს სოფლის მეურნეობაში 1937 წელს **მინერალური სასუქის** შეტანის გეგმა შემდეგი რაოდენობით:

	ათასი ტონობით
აზოტოვანი სასუქისა (სულფატ-ამონიუმზე გადაყვანით).	998
სუპერფოსფატისა . .	2.375
კალიუმის სასუქისა . .	450
ფოსფორის ფქვილისა . .	835
ტომას-წიდისა	70

სამიწათმოქმედო ორგანოების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორების და კოლმეურნეობათა გამგეობების განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მინერალური სასუქის სრულად გამოყენებას, შენახვისა და გადაზიდვის დროს დანაკარგების აღმოფხვრას, აგრეთვე ნაკელისა და სხვა ადგილობრივი სასუქის (ტორფი, ნაცარი, ცარი და სხვ.) მაქსიმალურად გამოყენებას.

8. მოეწყოს 1937 წელს (გაზაფხულისათვის) 612 ახალი **მანქანა-ტრაქტორთა სადგურები** და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საერთო რაოდენობა 1937 წლის დამლევისათვის აყვანილ იქნას 5.612-მდე.

დაწესდეს 1937 წლისათვის მტკვების სატრაქტორო-სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება, 1936 წლის გეგმასთან შედარებით, 9,5 პროცენტით, ამასთან გათვალისწინებულ იქნას მტკ-ების სატრაქტო-

(გაგრძელება იხ. მე-8 გვ.)

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის 1937 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ხრო სამუშაოებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწვავი მასალის ხარჯვის ნორმების შემცირება, 1936 წლის გეგმიან ნორმებთან შედარებით, 8 პროცენტით.

9. დაწესდეს **ტრაქტორების** მიწოდება სოფლის მეურნეობისათვის 1937 წელს 66 ათასი ცალის რაოდენობით 1.829 ათას ცხენძალის სიმძლავრით. აქედან: ჩტზ—13 ათასი ცალი, სტზ და ხტზ მუხლუხოვანი—25 ათასი ცალი, ბორბლებიანი—10 ათასი ცალი, „უნივერსალი"—18 ათასი ცალი.

10. დამტკიცდეს 1.200,2 მილიონი მანეთის **სასოფლო-სამეურნეო მანქანების** შიტანის გეგმა, მათ რიცხვში:

	ათას ცალობით
კომბაინები	55
(აქედან 2 ათასი ცალი ჩრდილოეთის კომბაინი).	
სატრაქტორო გუთნები	151
სატრაქტორო მარცვლეულის სათესი მანქანები	120
კულტივატორები . .	127,2
ფართოდმტვრი სელსაწყი მანქანები . . .	4

11. სათესი ფართობისა და მოსავლიანობის ამაღლების დარგში მიცემულ დავალების შესაბამისად 1937 წლისათვის დაწესდეს **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის** შემდეგი მოცულობა:

მარცვლეული კულტურები — 6.613 მილიონი ფუთი, მათ რიცხვში ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში — 599 მილიონი ფუთი, აქედან საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში — 351 მილიონი ფუთი;

ბამბის ბოჭკო — 46,1 მილიონი ფუთი;

სელის ბოჭკო — 8,3 მილიონი ცენტნერი;

შაქრის ჭარხალი — 245 მილიონი ცენტნერი;

მზესუმზირა — 27,1 მილიონი ცენტნერი;

თამბაქო — 985,5 ათასი ცენტნერი;

წეკო — 1.843,0 ათასი ცენტნერი;

კართოფილი — 888,9 მილიონი ცენტნერი.

12. საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის **მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების** უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლება და ამის შესაბამისად დაწესდეს საშუალო წველა ერთ ძროხაზე სარძეო-სახორცე საბჭოთა მეურნეობებში — 780 კილოგრამი და ნაკრეჭი მატყლი წმინდამატყლიან ცხვრებზე — 5,5 კილოგრამი.

13. დაწესდეს **საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებისათვის** შემდეგი დავალებანი პირუტყვის პროდუქტიულობის დარგში: ძროხის საშუალო წველა — 1.400 კილოგრამი, სახორციედ დასაკლავი ღორის საშუალო ცოცხალი წონა — 80 კილოგრამი, ნაკრეფი მატყლი ფარის ერთ ცხვარზე 1937 წლის დასაწყისისათვის — 2,6 კილოგრამი.

14. დამტკიცდეს 1937 წლისათვის გეგმა მინდვრისაცავ **სატყეო ზოლების** დარგვისა კოლმეურნეობებში 153 ათას ჰექტარ ფართობზე და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში 25 ათას ჰექტარზე და გეგმა სანერგეების გაშენებისა მინდვრისაცავ ტყეხნარგავებისათვის 17,8 ათას ჰექტარზე, აქედან კოლმეურნეობებში 8,2 ათას ჰექტარზე და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში — 2.240 ჰექტარზე.

15. გეგმა **კაპიტალური სამუშაოებისა** სოფლის მეურნეობაში განისაზღვროს მიწსახკომის ხაზით 2.314 მილიონი მანეთის რაოდენობით, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ხაზით — 300 მილიონი მანეთის რაოდენობით.

16. მიენდოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცოს 1937 წლისათვის **მეცხოველეობის** განვითარების სახელმწიფო გეგმა.

III. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

ა. რკინიგზის ტრანსპორტი

1. გზათა სახალხო კომისარიატის **უმნიშვნელოვანეს ამოცანად** ჩაითვალოს უავარიო მუშაობის უზრუნველყოფა და მატარებლების მოძრაობის გრაფიკისა და ცხრილის ზუსტად დაცვა.

2. დაწესდეს 1937 წელს რკინიგზის ტრანსპორტზე საშუალო სადღეღამისო **დატვირთვა** 95 ათასი ვაგონის რაოდენობით, ნაცვლად 86,2 ათასი ვაგონისა 1936 წელს, ტვირთბრუნვა — 565 მილიონი ტონა-კილომეტრი.

3. დაწესდეს საქონლის ორთქლმავლის **საშუალო სადღეღამისო გარბენა** 260 კილომეტრი, საქონლის ვაგონის საშუალო სადღეღამისო გარბენა — 150 კილომეტრი. საქონლის მოძრაობის მატარებლების საუბნო სიჩქარე — 20 კილომეტრი.

4. დაწესდეს **შრომის ნაყოფიერების** ზრდა 1937 წელს 1936 წლის საშუალო — წლიურ დონესთან შედარებით: სარკინიგზო ტვირთბრუნვის დარგში 16 პროცენტით და სარემონტო ქარხნებისა და სახელოსნოების ხაზით — 22,1 პროცენტით.

სარკინიგზო ტვირთბრუნვის დარგის მუშაკთა საშუალო წლიური ხელფასის ზრდა 1937 წლისათვის დაწესდეს 8,7 პროცენტი.

სარკინიგზო ტვირთბრუნვის თვითღირებულების შემცირება 1937 წლისათვის დაწესდეს 5 პროცენტი, 1936 წლის საშუალო - წლიურ დონესთან შედარებით.

5. **კაპიტალური სამუშაოთა** გეგმა გზათა სახალხო კომისარიატის ხაზით დამტკიცდეს 5.553,1 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ახალი მოძრავი შემადგენლობისათვის — 1.380 მილიონი მანეთი; ახალი სარკინიგზო ხაზების მშენებლობისათვის — 452 მილიონი მანეთი და მეორე ლიანდაგების მშენებლობისათვის — 330 მილიონი მანეთი.

6. დაევალოს გზათა **სახალხო კომისარიატს** ამოუშაოს 1937 წელს **ახალი სარკინიგზო ხაზები** — 1.167 კილომეტრის სიგრძისა, მათ შორის ურალსკ-ილეცკი — 263 კილომეტრი, რუბცოვკა-ულბა — 260 კილომეტრი.

მეორე ლიანდაგების **ამუშავების** 1937 წლის გეგმა დამტკიცდეს 1.104 კილომეტრი და **ამუშავდეს** 561 კილომეტრი ელექტროფიცირებული ხაზები, მათ შორის: ბელოვო - კუზნეცკი — 141 კილომეტრი, გორაბლაგოდატსკაია-ჩუსოვსკაია — 183 კილომეტრი.

7. დამტკიცდეს მრეწველობის მიერ რკინიგზის ტრანსპორტისათვის **მოძრავი შემადგენლობის** მიწოდების გეგმა:

ფდ სატვირთო ორთქლმავლებისა	600 ცალი.
სო სატვირთო ორთქლმავლებისა . . .	500 ცალი.
ის სამგზავრო ორთქლმავლებისა . . .	100 ცალი.
სუ სამგზავრო ორთქლმავლებისა . . .	225 ცალი.
სახახ ელექტრომავლებისა	50 ცალი.
სატვირთო ოთხღერძიანი ვაგონებისა და ცისტერნებისა	42.500 ცალი.
ორღერძიანი ცისტერნებისა	1.000 ცალი.
სამგზავრო ვაგონებისა	1.500 ცალი.
მათ შორის ელექტროვაგონების სექციებისა	50 ცალი.

8. რკინიგზის ჩელის საეშელონო სიგრძე 1937 წლის დამლევისათვის დაწესდეს 86,5 ათასი კილომეტრი (იმ ხაზების ჩაუთვლელად, რომლებიც გადადის დროებითი ექსპლოატაციაში), მათ შორის 1.599 კილომეტრი ელექტროფიცირებული რკინიგზები.

9. რკინიგზის ტრანსპორტის შუშაობის შემდგომი აღმავლობისა და **მავნებლობის შეღეგთა ლიკვიდაციის** მიზნით დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს დაწესოს ავარიისა და მარცხის თვითეული შემთხვევის გულდასმით გამოძიება შეწოწებულ ადამიანთა მიერ საგამომძიებლო ორგანოების მონაწილეობით; შეამოწმოს ხაზის დისტანციის საავარიო უბნები და უზრუნველყოს მათი გაჯანსაღება; გადასინჯოს მოძრავი შემადგენლობის რემონტის წესები და შემოიღოს შეკეთებულ ორთქლმავალთა და ვაგონთა მიღების უფრო მკაცრი წესი; გადასინჯოს უმნიშვნელოვანეს სარკინიგზო ხაზებისა და ქარხნების მშენებლობისა და ამუშავების ვადები მათი შემცირების მხრივ: მიაღწიოს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა დისციპლინის ამაღლებას და განსაკუთრებით, ტექნიკური ექსპლოატაციის წესების შესრულებას, ამასთან არ დაუშვას რკინიგზის ტრანსპორტზე მოძრაობის დარგში სამუშაოდ ის ადამიანები, რომელნიც მსჯავრდადებული არიან მავნებლობისათვის, შრომის დისციპლინის ბოროტი დარღვევისათვის, წარმოების დეზორგანიზაციისათვის.

ბ. წყალთა ტრანსპორტი

1. დაწესდეს 1937 წლისათვის **ტვირთბრუნვა** სამდინარო ტრანსპორტით 43,75 მილიარდი ტონა-კილომეტრის რაოდენობით და საზღვაო ტრანსპორტით — 25,22 მილიარდი ტონა — მილის რაოდენობით; მგზავრთა გადაყვანის ხაზით — სამდინარო ტრანსპორტით — 3.300 მილიონი მგზავრ-კილომეტრი და საზღვაო ტრანსპორტით — 470 მილიონი მგზავრ-მილი.

2. დაევალოს წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს მიაღწიოს 1937 წელს **გემების მოძრაობას** ზუსტად ცხრილისა და გრაფიკის მიხედვით, ორი თვის ვადაში შეამუშაოს ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, დაწესოს მტკიცე კონტროლი ამ წესების დაცვაზე და წყალთა ტრანსპორტის მუშაკების ყურადღების ცენტრში მოაქციოს უავარიო მუშაობის და გაუცდენლად მუშაობის ამოცანა.

3. აღინიშნოს ძალიან დაბალი **შრომის ნაყოფიერება** წყალთა ტრანსპორტზე და დაევალოს წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს მიაღწიოს 1937 წელს იმას, რომ გადიდდეს წყალთა ტრანსპორტის ერთი მუშაკის გამომუშავება სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის მხრივ არანაკლებ 31,4 პროცენტისა და საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის მხრივ — არანაკლებ 16,2 პროცენტისა.

4. დაწესდეს 1937 წლისათვის ტვირთბრუნვის **თვითღირებულების შემცირების დავალება** სამდინარო ტრანსპორტზე, 1936 წლის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით, 17,8 პროცენტით და საზღვაო ტრანსპორტზე — 3,1 პროცენტით.

5. წყალთა ტრანსპორტის ხაზით **კაპიტალურ სამუშაოთა** მოცულობა დაწესდეს 1.210 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლობისათვის — 282 მილიონი მანეთი, მანიჩის არხის მშენებლობისათვის 15 მილიონი მანეთი, ნავსადგურებისა და გემთმისადგომთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის — 64 მილიონი მანეთი.

6. დაწესდეს წყლის შინაგანი გზების **სანაოსნო ჭსელის** მანძილი 101,5 ათასი კილომეტრი, მათ შორის წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ხაზით 91,5 ათასი კილომეტრი. სანაოსნო ჭსელის ზრდა 1937 წლისათვის განისაზღვროს 8.800 კილომეტრით.

უზრუნველყოფილი იქნას ეშელონაცია მყოფი ჭსელის წყლის გზებისათვის სანავიგაციო ნიშნების შემოვლება 89,9 ათასი კილომეტრის მანძილზე, მათ შორის 66,5 ათასი კილომეტრის განათებით.

ამუშავებულ იქნას 1937 წელს მოსკოვ-ვოლგის არხი 128 კილომეტრი მანძილით.

გ. სამოქალაქო საჰაერო ფლოტი

1. დაწესდეს 1937 წლისათვის საჰაერო ტრანსპორტის **ტვირთბრუნვის მოცულობა** 25 მილიონი ტონა-კილომეტრი, რაც იძლევა ზრდას 19 პროცენტით 1936 წელთან შედარებით.

2. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ხაზით **კაპიტალურ სამუშაოთა** გეგმა დაწესდეს 230 მილიონი მანეთის რაოდენობით.

დაევალოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარსამმართველოს უზრუნველჰყოს 1937 წელს დამთავრება საჰაერო ტრასების ყველა უბნის იმ საჰაერო მაგისტრალების რადიოფიკაციის და შუქმოწყობილობის სამუშაოებისა, რომლებზედაც სწარმოებს ღამით ფრენა.

3. საკავშირო მნიშვნელობის მომქმედი **საჰაერო ხაზების** ჭსელი სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ხაზით 1937 წლისათვის დაწესდეს 55 ათასი კილომეტრის მანძილით.

დ. ავტოსაგზაო ტრანსპორტი

1. დაწესდეს **კაპიტალურ სამუშაოთა** გეგმა შინსახკომის გზატკეცილების მთავარსამმართველოს ხაზით 616 მილიონი მანეთის რაოდენობით.

უზრუნველყოფილ იქნას მოსკოვ-მინსკის, მოსკოვ-კიევის ავტომაგისტრალების მშენებლობის ფართოდ გაშლა, აგრეთვე ურა-ტუბე-სტალინაბადის, ანგარა-ლენის, ულიანოვსკ-კუიბიშევის, ნალჩიკ-პიატიგორსკის გზების მშენებლობის დამთავრება და ამუშავება 1937 წელს.

2. დაევალოს შინსახკომის გზატკეცილების მთავარსამმართველოს და მოკავშირე **რესპუბლიკების სახალხო კომისართა** საბჭოებს ააშენონ 1937 წელს, მოსახლეობის **შრომითი მონაწილეობით**, ადგილობრივი ჭსელის 88 ათასი კილომეტრი გზები, 280 ათასი სიგრძივი მეტრი ხიდები და კაპიტალურად შეაკეთონ 21 ათასი კილომეტრი გზები.

ე. კავშირგაბმულობა

1. განისაზღვროს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის **მუშაობის დავალებანი** 1937 წელს 11 პროცენტი გადიდებით 1936 წელთან შედარებით.

საფოსტო კავშირგაბმულობით მოსახლეობის მომსახურების გასაუმჯობესებლად გადაკეთდეს 1937 წელს 10 ათასი საფოსტო სააგენტო კავშირგაბმულობის განყოფილებებად.

2. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის **კაპიტალურ სამუშაოთა** გეგმა დამტკიცდეს 375 მილიონი მანეთის რაოდენობით.

დაევალოს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატს დაწესოს 1937 წელს პირდაპირი სამაეთულო სატელეფონო კავშირი მოსკოვსა და ახალ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მრავალჯერადი ტელეგრაფირებისა და ტელეფონირების აპარატურის მოწყობით მოსკოვ-ტაშკენტის ბრინჯაოს მაგისტრალზე და ბრინჯაოს ჭსელების გაყვანით ხაზებზე: ტაშკენტ-ალმა-ატა, განშტოებით ქ. ფრუნზესაკენ, და როსტოვ-მახაჩ-კალა-ბაქო.

IV. საქონელბრუნვის დარგში

1. დაწესდეს დავალება სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვის** დარგში საზოგადოებრივ კვებასთან ერთად, მოჰმედ საცალო ფასებში, 131 მილიარდი მანეთის რაოდენობით, რაც შეადგენს 23 პროცენტით ზრდას 1936 წლთან შედარებით.

დამტკიცდეს საცალო საქონელბრუნვა ქალაქში 87,7 მილიარდი მანეთის რაოდენობით, სოფლად კი 43,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

2. დაისვას მრეწველობისა და სავაჭრო სისტემების წინაშე ამოცანა გააფართოვონ და გააუმჯობესონ გასასყიდი საქონლის **ასორტიმენტი**, კერძოდ მსუბუქ მრეწველობაში — გაადიდონ ყველაზე უფრო გასაღებადი ბამბეულის ქსოვილის (ჩითის, სატინის, თეთრეულის ქსოვილის) წარმოება, გაადიდონ მელანჟისა და ხაოიანი ქსოვილის გამოშვება, გააუმჯობესონ სატრიკოტაჟო და საგალანტერეო მრეწველობის ასორტიმენტი, გააფართოვონ ბავშვთა ასორტიმენტი ყველა სახეობის ნაკეთობათა ხაზით; გაადიდონ ფასონთა რიცხვი და გააუმჯობესონ ნაკერი ნაწარმთა ხარისხი; კვების მრეწველობაში — გაადიდონ თევზის პროდუქციის ყველაზე უფრო ძვირფას სახეობათა (შოკოთქლილი, გაყინული და დაშაშხული თევზი და სხვ.) ხვედრითი წონა; გააფართოვონ შაშხეულობათა და ძეხვეულობათა წარმოება; გაადიდონ საპნის წარმოება ცხიმეულის შეცულების მომატებით; გაადიდონ ჰერმეტულად შეფუთული კონსერვების წარმოება მთლიანად საკონსერვო მრეწველობის ასორტიმენტის გაუმჯობესებით; გააფართოვონ რბილი კონფექტების გამოშვება, გაადიდონ ნამცხვარის ხარისხი და ღირსება საკონდიტრო მრეწველობაში;

მძიმე მრეწველობაში — გააძლიერონ წარმოება და **ასორტიმენტი** ფართო მოხმარების ნაკეთობათა — ველოსიპედის, პატეფონის, ფირფიტათა, რადიომიმღებთა, ფოტოაპარატების, ელექტრონაკეთობათა, საკანი ლამფების, საათის, **საკერავი** მანქანების, ჯურჯელულისა და საჯახო მოსახმარი საგნების, კაეულოსი და სხვა ნაკეთობათა წარმოების გაფართოება.

3. დაწესდეს საერთო ხარჯვის **ბრუნვის ხარჯების** შემცირება 8,69 პროცენტით 1936 წლის ხარჯების დონესთან შედარებით; **ბრუნვის ხარჯების** შემცირება „ცენტროსოიუზის" სავაჭრობის ხაზით დამტკიცდეს 7,3 პროცენტი 1936 წელთან შედარებით.

4. დამტკიცდეს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის **კაპიტალური დაბანდებანი** 795 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ რიცხვში სსრ კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით — 250 მილიონი მანეთი, მათ შორის მაღაზიების ასაშენებლად და მოსაწყობად — 75,9 მილიონი მანეთი, საწყობებისა და მაცივრების ასაშენებლად — 47,9 მილიონი მანეთი; „ცენტროსოიუზის" ხაზით — 61,1 მილიონი მანეთი.

V. საცხოვრებელი და კომუნალური მეურნეობის დარგში

1. დამტკიცდეს საერთო ოდენობა **კაპიტალური სამუშაოებისა** ბინათმშენებლობისათვის. 2.549,6 მილიონი მანეთის რაოდენობით. კომუნალური მშენებლობისათვის — 1.813 მილიონი მანეთის რაოდენობით. აღმასრულებელი კომიტეტებისა და საბინაო კოოპერაციის **საცხოვრებელი** ფონდის რემონტის დაფინანსება დამტკიცდეს 538 მილიონი მანეთის რაოდენობით.

2. **ამუშავდეს** 1937 წელს 6.430 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

3. **მოწყობილ** იქნას ხელაბლა წყალსადენებით 17 ქალაქი, კანალიზაციით — 10 ქალაქი.

4. **ამუშავდეს** 1937 წელს მოსკოვის მეტროპოლიტენის მეორე რიგი და დაწყებულ იქნას მესამე რიგის აშენება.

VI. კულტურისა და ჯანდაცვის დარგში

ა. სახალხო განათლება

1. დაწესდეს საერთო ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით სახალხო განათლების საჭიროებათათვის 1937 წელს 18.269,8 მილიონი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 1936 წლის 13.915,7 მილიონი მანეთისა.

2. დაწესდეს დაწყებითსა და საშუალო სკოლებში **მოწაფეთა** საერთო **რიცხვი** 1937 წლისათვის 30.033 ათასი კაცის რაოდენობით, ნაცვლად 1936 წლის 27.418 ათასი კაცისა, მათ შორის ქალაქის სკოლებში — 8.805 ათასი კაცი, სოფლის სკოლებში — 21.228 ათასი კაცი.

3. უზრუნველყოფილ იქნას 1937 წელს იმ პირთა **გამოშვება**, რომლებიც ამთავრებენ სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებიდან და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებიდან 93,8 ათასი კაცისა, ტექნიკუმებიდან — 169,9 ათასი კაცისა, მუშფაკებიდან —70,1 ათასი კაცისა.

4. დაწესდეს 1937 წლის დამლევისათვის ბავშვთა რიცხვი **საბავშვო ბაღებში**, ქალაქებსა, მუშათა დაბებში, მანქანა-ტრაქტორების სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებში 1.279 ათასი კაცის რაოდენობით, ნაცვლად 1936 წლის 1.030 ათასი კაცისა.

5. დაწესდეს **კაპიტალური სამუშაოები** განათლების ხაზით 1937 წლისათვის 1.100 მილიონი მანეთის რაოდენობით.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს 1937 წელს ააშენონ ქალაქებსა და მუშათა დაბებში და სასწავლო წლის დაწყებისათვის ამოუშაონ 930 ახალი სკოლა 528 ათასი მოწაფისათვის მათ შორის 812 ახალი საშუალო სკოლა.

ამოუშავონ 1937 წელს 262 ათასი ახალი ადგილი საბავშვო ბაღებში, მათ შორის მშენებლობის ხარჯზე 131 ათასი ადგილი და არსებულ შენობათა გამოყენების ხარჯზე 131 ათასი ბავშვის ადგილი.

ბ. ჯანდაცვა

1. დაწესდეს ჯანდაცვის **ხარჯების** საერთო თანხა 1937 წლის ბიუჯეტიდან 7.528,1 მილიონი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 1936 წლის 5.803,5 მილიონი მანეთისა.

2. დაწესდეს ჯანდაცვის **ხაზით კაპიტალური სამუშაოების** ოდენობა 1937 წლისათვის ერთი მილიარდი მანეთის რაოდენობით.

3. აყვანილ იქნას 1937 **წელს საავადმყოფო საწოლთა** საერთო რიცხვი 619,8 ათასამდე, ნაცვლად 1936 წლის 564 ათასისა, მათ შორის საქალაქო და სატრანსპორტო საავადმყოფოებში 370,5 ათასამდე და სოფლის საავადმყოფოებში—183,3 ათას საწოლამდე.

4. დაწესდეს 1937 წლისათვის **სამშობიარო საწოლების** მშენებლობის გეგმა 11.078 საწოლის რაოდენობით, ნაცვლად 1936 წლის 6 ათასი საწოლისა.

5. დაწესდეს 1937 წლის დამლევისათვის ადგილთა რიცხვი **საბავშვო ბაგებში** ქალაქებსა და მუშათა დაბებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებთან 609 ათასის რაოდენობით, ნაცვლად გასული წლის 464 ათასისა და ადგილების რიცხვი საბავშვო ბაგებისა კოლმეურნეობებში—570 ათასის რაოდენობით, ნაცვლად გასული წლის 378 ათასისა.

6. აყვანილ იქნას 1937 **წელს სანატორიუმთა საწოლების** რიცხვი კურორტებზე 95 ათასი საწოლამდე, ნაცვლად 1936 წლის 91,5 ათასი საწოლისა, ხოლო საწოლების რიცხვი საკავშირო პროფსაბჭოსა და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების დასასვენებელ სახლებში 105 ათას საწოლამდე, ნაცვლად 1936 წლის 99,3 ათასი საწოლისა.

გ. მეცნიერება და ხელოვნება

1. სამეცნიერო დაწესებულებებზე ხარჯების საერთო ოდენობა ბიუჯეტით 1937 წელს განისაზღვროს 924,2 მილიონი მანეთით, ნაცვლად 1936 წლის 797,5 მილიონი მანეთისა.

საერთო გეგმა კაპიტალური სამუშაოებისა სამეცნიერო დაწესებულებათა ხაზით დაწესდეს 245 მილიონი მანეთის რაოდენობით; აქედან მეცნიერებათა სრულიად-საკავშირო აკადემიის დაწესებულებათა მშენებლობისათვის — 40 მილიონი მანეთი, ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის მშენებლობისათვის—25 მილიონი მანეთი.

3. კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა ხელოვნებისა და კინოს ხაზით დაწესდეს 250 მილიონი მანეთი; აქედან კინო-ფოტომრეწველობასა და კინოფიკაციაზე—163,3 მილიონი მანეთი.

4. სანახაობითის დაწესებულებათა (თეატრალური ჯგუფების, მუსიკალური კოლექტივების, ცირკების, კინოდანადგარების) ზრდის რიცხვი განისაზღვროს 3.175 ერთეულით; 1937 წელს ამუშავდეს 5.945 ახალი გახმოვანებული კინოდანადგარი.

5. დაევალოს ხელოვნების საქმეთა კომიტეტს—დაამთავროს მშენებლობა და ამუშაოს 13.550-იდგილიანი 9 საოპერო და დრამატული თეატრი, 56 კინოთეატრი 28.080 ადგილით.

VII. შრომისა და ხელფასის ხაზით

1. **მუშათა და მოსამსახურეთა** საერთო რაოდენობა ყველა სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებებში 1937 წლისათვის განისაზღვროს **26.320 ათასი კაცით**, რაც შეადგენს 2,1 პროცენტით ზრდას 1936 წელთან შედარებით.

ხელფასის ფონდი ყველა სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებებში დაწესდეს **78.33 მილიარდი** მანეთი, ნაცვლად 1936 წლის 71,4 მილიარდი მანეთისა, მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის ზრდა 1937 წლისათვის დამტკიცდეს 7,4 პროცენტი 1936 წლის მართ.

VIII. სსრ კავშირში კაპიტალურ სამუშაოთა საერთო გეგმის ხაზით

1. მთელ სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ სამუშაოთა **საერთო გეგმა** 1937 წლისათვის დაწესდეს 32,5 მილიარდი მანეთისა და ახალ და რეკონსტრუირებულ საწარმოთა ამუშავების გეგმა—34,8 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

2. დაევალოთ სსრ კავშირის სახალხო კომისარიატებსა და მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს —უზრუნველჰყონ 1937 წელს კაპიტალური მშენებლობის **ღირებულების შემცირება** არანაკლებ 10,5 პროცენტისა საშუალოდ მთელ სახალხო მეურნეობაში.

ამის შესაბამისად კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების ოდენობა განისაზღვროს 29,165 მილიონი მანეთით.

3. დაწესდეს 1937 წლისათვის უმნიშვნელოვანესი საშენი მასალის წარმოების გეგმა: ცემენტისა—7.437 ათასი ტონა, აგურისა—10.965 მილიონი ცალი, კირისა—4.510 ათასი ტონა, ალებასტრისა — 1.600 ათასი ტონა.

წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უზრუნველჰყონ ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების გეგმის შესრულება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ აგურის ხარისხის ამაღლებას, აგრეთვე შეასრულონ ყველა ღონისძიება აგურის მრეწველობის გადასაყვანად მთელ წელს მუშაობაზე და დასდგან 100 პრესი აგურის მშრალად დაპრესვისათვის.

o

1937 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება იქნება საერთოდ მრეწველობის მეორე ხუთწლიანი გეგმის და მეორე ხუთწლედის სხვა ძირითად დავალებათა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შესრულებაც. ამ გეგმის შესრულება ნიშნავს სახალხო შემოსავლის გადიდებას 105,5 მილიარდ მანეთამდე, რაც იძლევა სახალხო შემოსავლის ზრდას 24 პროცენტით შარშანდელთან შედარებით. ამ გეგმის წარმატებით განხორციელება შეჰქმნის საჭირო წანამძღვრებს მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი სწრაფი ზრდისათვის და უზრუნველჰყოფს ფართო მოხმარების საქონლის ფასთა დაკლების გატარებას.

1937 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა უზრუნველჰყოფს მუშათა კლასის კულტურულ - ტექნიკური დონის მნიშვნელოვან ზრდას და ჭალაჭისა და სოფლის მშრომელთა კულტურულობის საერთო აღმავლობას.

ამასთან ერთად, ეს გეგმა უზრუნველჰყოფს საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და პოლიტიკური ძალების შემდგომ დიდ ზრდას, მისი თავდაცვუნარიანობის განმტკიცებას და მისი საერთაშორისო მნიშვნელობის ზრდას მშვიდობიანობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის.

სამეურნეო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ტროცკისტი და უცხოელი აგენტების მავნებლობის და დივერსიულ-ძირგამომთხრელი მუშაობის გამომჟღავნებული ფაქტები სერიოზულად უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა სახელმწიფო ორგანიზაციის ცენტრალურისა და ადგილობრივის, მუშაობაში. საჭიროა, რომ სახალხო კომისარიატებმა გადაუდებლივ გაატარონ ღონისძიებანი იმ მხრივ, რათა გამოაშკარავონ და თავიდან აიცილონ მავნებლობა და შპიონაჟი თავიანთ ორგანოებში. აგრეთვე საჭიროა უზრუნველვყოთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივ გაშლა იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ბრძოლა პოლიტიკური უდარდელობის მოვლენებთან ხელმძღვანელთა მხრივ და ბიუროკრატიულ დამბინძრებებთან სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებში. სამეურნეო და სხვა ხელმძღვანელები ვალდებული არიან ფართოდ გამოიყენონ ძირეული მუშაკთა, სტახანოველთა და მუშათა გამოცდილება, რეგულარულად მოიწვიონ აქტივები თავიანთ ორგანიზაციებში—სახალხო კომისარიატში, მთავარ სამმართველოში, გზაზე, ქარხანაში, შახტში, სადგურში და ა. შ., ამასთან მიიზიდონ ამ აქტივებზე უპარტიო აქტივისტები.

სამეურნეო ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქცინონ კადრების ბოლშევიკურად აღზრდის ამოცანებს, ხელმძღვანელ მუშაკთა შერჩევის ნამდვილად გაუმჯობესებას, მათი მუშაობის მეთოდებში ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან ბრძოლის გაძლიერებას. საჭიროა ბოლო მოვუღოთ სამეურნეო-ტექნიკურ მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილის ვიწრო საქმოსნობას, მათი გარსახედველის შეზღუდვას ვიწრო სამეურნეო ჩარჩოებით, პარტიულ-პოლიტიკური ამოცანებისაგან მოწყვეტას, რაც აუცილებლად წარმოშობს ხელმძღვანელთა პოლიტიკურ სიბეცეს და რასაც თავიანთი დანაშაულებრივი ინტერესებისათვის იყენებენ ხალხის უბოროტესი მტრები. ხელმძღვანელი კადრების შერჩევის დროს საჭიროა ანგარიში გაეწიოთ არა მარტო საწარმოო-ტექნიკურ კვალიფიკაციას, არამედ პოლიტიკურ მომზადებასა და იმის უნარსაც, რომ აღზარდონ კადრები საბჭოთა ხელისუფლების ერთგულების საფუძველზე. აგრეთვე უნდა გვახსოვდეს, რომ კვლავ დიდად ცოცხლობს კანცელარულ - ბიუროკრატიული მეთოდები ბევრ ჩვენი ორგანოს მუშაობაში. ამიტომ ყოველწაირად უნდა გავაძლიეროთ შესრულების შემოწმების, პარტიის, მთავრობისა და სათანადო ორგანოების მითითებათა ცხოვრებაში ნამდვილად გატარების შემოწმების ორგანიზაცია.

ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატის და მათი ორგანოების წინაშე, რომლებიც ჯერ კიდევ სრულიად არ გამხდარან ნამდვილ საწარმოო-ტექნიკურ შტაბებად, რომელიც ისინი უნდა იყვნენ, დასახულია სტახანოვური მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობის ამოცანა. სტახანოვური მოძრაობის ზრდაში, მისი ორგანიზაციის გაუმჯობესებაში, საწარმოებში სტახანოვური მოძრაობისათვის ნამდვილი ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფაში უნდა ჰპოვოს თავისი გამოხატულება ყველა ორგანიზაციის მუშაობის შემდგომმა გაუმჯობესებამ, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენთვის.

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებში შექმნილი ახალი სახალხო კომისარიატები, რომელთა გამგებლობაშიც გადავიდა საკავშირო სამრეწველო საწარმოთა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი რაოდენობა, უნდა გახდნენ ახალ ბერკეტად სახალხო მეურნეობის ალმავლობის საქმეში, სახალხო მეურნეობის მშენებლობისაკენ ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივისა და გამოცდილების ფართოდ მიზიდვის გზით.

ამჟამად სწარმოებს მთელი საბჭოთა მუშაობის გარდაქმნა სოციალისტური დემოკრატიზმის ყოველმხრივ განვითარების და მშრომელთა მასების პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობის საფუძველზე, საბჭოების მე-8 საკავშირო ყრილობის მიერ მიღებული სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად. ეს კონსტიტუცია, რომელმაც საკანონ

მუშათა ტექნიკური ცოდნის ამაღლების მიზნით სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხანაში მუშაობს ტექნიკური კაბინეტი, სადაც მარება და მითითება მათთვის საინტერესო ტექნიკურ საკითხებზე. სურათზე: ამხ. ბუტკოვსკი — ინჟინერი-კონსულტანტი უსინის ზეინკალ ავრამოვს ამზის აგებულებას და მოქმედებას.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

მზის მომავალი დაბნელებისათვის

ნიუ-იორკი, 30 მარტი (საქდესი). 1937 წლის 8 ივნისს მოხდება მზის სრული დაბნელება. დაბნელება იქნება ყველაზე ხანგრძლივი, როგორიც — კი 1200 წლის განმავლობაში ყოფილა. სრული დაბნელება გაგრძელდება 7 წუთსა და 4 წამს. ერთად ერთი პუნქტი, სადაც შეიძლება შემჩნეულ იქნეს დაბნელების მაქსიმალური ხანგრძლივობა, არის წერტილი წყნარ ოკეანეზე, უახლოესი კუნძულებიდან 1500 მილის დაშორებით.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო - საზღვაო ფლოტი წელს შეუწყობს ნაციონალურ გეოგრაფიულ საზოგადოებას, რომ დოქტორ მიტჩელის (ვირჯინის უნივერსიტეტის ობსერვატორიის დირექტორი) მეთაურობით გაეგზავნოს ექსპედიცია წყნარ ოკეანეზე მდებარე ფენიქსის კუნძულებისაკენ. ექსპედიცია მიზნად ისახავს დაბნელების მაქსიმალური ხანგრძლივობა დაადგინოს ენდერბერის ერთერთ კუნძულზე, რომელიც მდებარეობს 1800 მილის მანძილზე ჰავაის კუნძულების სამხრეთ - დასავლეთით და 3 ათას მილის მანძილზე ავსტრალიის ჩრდილო - აღმოსავლეთით. ენდერბერის ორივე კუნძული ერთმანეთს დაშორებულია 30 მილით. აქ დაბნელება გაგრძელდება 4 წუთსა და 8 წამს.

◇ ◇ ◇

იღიას გამოფენა

საქართველოს მწერალთა მუზეუმი შეუდგა მზადებას ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებისათვის (სექტემბერი) სპეციალური გამოფენის მოსაწყობად. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მრავალი მასალა ილიას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის დასახასიათებლად.

გამოფენის ერთი კუთხე დაეთმობა ილიას ავტოგრაფებს, სურათებსა და იმ ჟურნალ-გაზეთებს, სადაც ეს დიდი მწერალი თანამშრომლობდა. გადაწყვეტილია აგრეთვე შეაგროვონ ილიას პირადი მოხმარების ნივთები ავეჯი, საწერ-კალამი, ტანისამოსი და სხვ.

გარდა ამისა, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მასალები საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის ხანაზე, „მამათა და შვილთა ბრძოლაზე“, „თეთრგალეულებაზე“ და სხვ. ამ მასალებით დახასიათებული იქნება ილია, როგორც გამომცემელი, ილიას დამსახურება ქართული პრესის წინაშე, ილია, როგორც რედაქტორი და ჟურნალისტი. მუზეუმი აგროვებს მასალებს ილიასა და აკაკიზე. ილიასა და ნიკო ნიკოლაძეზე, ილიასა და ვაჟაზე.

◇ ◇ ◇

ილიასეული სახლი ყვარელში

საქართველოს დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, როგორც ცნობილია, ყვარელში დაიბადა და სანამ 11 წლისა გახდებოდა, აქ იზრდებოდა.

მოხუცების გადმოცემით, ილია მას შემდეგაც, რაც საგურამოში დასახლდა, ხშირად ჩადიოდა ყვარელში, ზოგიერთი თავისი პოპულარული ნაწარმოები აქვე დაუწერია. ილიას ყვარელში ჰქონია მდიდარი ბიბლიოთეკა, სადანაც ბევრი წიგნი თავის ნაცნობ-მეგობრებისათვის საჩუქრად დაურიგებია. როგორც ამბობენ, სხვა ნივთებს შორის ყვარელშივე უნდა იყოს ის აკვანი, რომელშიაც ილია აღიზარდა.

ყვარელში ახლაც არის დარჩენილი ილიასეული სახლი და კარმიდამო. იქ, სადაც პოეტი ისვენებდა და ლიტერატურულ შრომას ეწეოდა, რადიო-სატრანსლაციო სადგურია მოთავსებული და სანახევროდ დანგრეულია, სარდაფს არა აქვს კარი და ფანჯრები, აივანი ამოუშენებიათ და ოთახად გადაუკეთებიათ, იქ კი, სადაც ილია დაიბადა, ახლა თეატრის საწყობია.

საიუბილეო კომიტეტის გადაწყვეტილებით ილიასეული სახლი ყვარელში აღდგენილი უნდა ყოფილიყო. იუბილეს დღე ახლოვდება, პრაქტიკულად კი დღემდის არაფერია გაკეთებული.

ილიასეულ ეზოში, ყვარლის რაიონული ორგანიზაციების ინიციატივით, შენდება ილიას სახელობის სკვერი. გადაწყვეტილია ზემოთაღნიშნულ სახლში რესტავრაციის შემდეგ დაარსდეს ილიას მუზეუმი. საიუბილეო რესპუბლიკურმა კომიტეტმა ყოველმხრივ უნდა დაუჭიროს მხარი ამ მეტად მნიშვნელოვანი ინიციატივის განხორციელებას.

ყვარელში არიან მოხუცი გლეხები, რომლებსაც კარგად ახსოვთ ილია და საინტერესო მოგონებები აქვთ მის შესახებ.

კარგი იქნებოდა რესპუბლიკურ კომიტეტს ეთავა ყვარელში მცოდნე პირებისაგან შემდგარი სპეციალური ბრიგადის გაგზავნა, რომელიც უხელმძღვანელებს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დღემდე უცნობი მასალებისა და ილიას მუზეუმისათვის საჭირო ექსპონატების შეგროვებას.

ტ. აცანელი

საკურორტო სეზონის წინ

პროფკავშირების დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში

საქართველოს პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმებას სამმართველოს ცნობით, წელს პროფკავშირული საგზურებით სხვადასხვა კურორტებზე დასასვენებლად და სამკურნალოდ გაგზავნება 15.000-მდე წევრი პროფკავშირისა და მათი ოჯახის წევრება. გასული წლის საკურორტო სეზონის განმავლობაში პროფკავშირების დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში გაიგზავნა 14000-მდე მშრომელი.

დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების სამმართველო ენერგიულად ემზადება საკურორტო სეზონისათვის: დამთავრებულია საგზურების განაწილება პროფსიულ კავშირებს შორის, უახლოეს დღეებში მთავრდება საგზურების დარიგება მეორე კვარტალისათვის. 7 აპრილიდან 24 დღით დაიხურება გაგრის დასასვენებელი სახლი, რომელიც ხელახლა გაიხსნება 1 მაისიდან. ამ დროისათვის უნდა დამთავრდეს აღნიშნული სახლის კაპიტალური რემონტი. აპრილში დამთავრდება აგრეთვე ბანთაში აშენებული სანატორიუმის კაპიტალური რემონტი და იქ საზაფხულო სეზონი დაიწყება 1 მაისიდან. აპრილში კაპიტალური რემონტისათვის დახურული იქნება წალენჯიხის დასასვენებელი სახლი, ბორჯომის სამივე დასასვენებელი სახლი და სტახანოველთა სახლი ბეთანიაში.

აღუძგერის სანატორიუმი (150-საწოლიანი), ქობულეთის დასასვენებელი სახლი (130-საწოლიანი) და წყალტუბოს სანატორიუმი (50-საწოლიანი) რემონტს არ საჭიროებენ და აპრილში იმუშავებენ. საქ. პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების სამმართველოს განკარგულებაში წელს სულ არის 4 სანატორიუმი და 7 დასასვენებელი სახლი.

სურამის სანატორიუმი გაიხსნება 1 ივნისს

საქ. პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების სამმართველო ამთავრებს ახალი სანატორიუმის მოწყობას სურამში. ეს სანატორიუმი, სადაც 100 საწოლი იქნება, შენდება სპეციალურად ძალარით დაავადებულთათვის. სანატორიუმის აგება და მოწყობა 3 მილიონ მანეთამდე დაჯდება.

ახალი სანატორიუმი გაიხსნება 1 ივნისიდან. საკურორტო სეზონის ბოლომდე აღნიშნული სანატორიუმი მიიღებს 500 კაცს.

◇ ◇ ◇

ფიზიოლოგებისა, ბიოქიმიკოსებისა და ფარმაკოლოგების საკავშირო ყრილობა მოწვეულია თბილისში

ფიზიოლოგებისა, ბიოქიმიკოსებისა და ფარმაკოლოგების სრულიად საკავშირო ყრილობის მომზადება საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. ი. ბერიტაშვილისაგან მიღებული ცნობით, აღნიშნული ყრილობის მოსაწვევ ადგილად დანიშნულია თბილისი. ყრილობის მოწვევა განზრახულია მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოს.

დასახელებული ყრილობისათვის მზადება აქტიურად არიან ჩაბმული თბილისის სათანადო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. მთავრობის ორგანოების სპეციალური დადგენილებით გადაწყვეტილია შეძენა უახლესი ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტებისა ბიოქიმიის, ფიზიოლოგიისა და ფარმაკოლოგიის ლაბორატორიების მოსაწყობად, რათა ყრილობაზე შესაძლებელი ვახდეს სათანადო ცდების დემონსტრირება.

ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ყრილობის ხარჯთაღრიცხვა 200.000 მანეთის ოდენობით. საქ. ფინსახკომს წინადადება აქვს მიცემული გაიღოს ეს თანხა საჭიროებისამებრ.

ყრილობაზე 500-მდე დელეგატს მოელიან.

ხელოვნება

მარჯანიშვილის თეატრში

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ამჟამად პარალელურად მუშაობს სამ პიესაზე: რეჟისორი ვ. ჭუშიტაშვილი ამზადებს ბომარშეს კომედიას „ფიგაროს ქორწინება“, თარგმანი მარიჯანისა და ი. გრიშაშვილისა. მხატვრული გაფორმება მინდობილი აქვს ორდენოსან მხატვარს ელენე ახვლედიანს.

რეჟისორი ს. ჭელაძე სდგამს შალვა დადიანის და ა. იასაღის პიესას წითელი არმიის ცხოვრებიდან „მშვიდობიანი“. მხატვარი კ. კვესი. მუსიკას ამ სპექტაკლისათვის სწერს კომპოზიტორი კ. მელენთევიჩი.

გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით გასცენიურებული „სამანიშვილის დედინაცვალის“ დადგმისათვის. მოთხრობა პიესად გადაკეთება ჰ. გელეიშვილმა. სდგამს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შალვა ღამბაშიძე, მხატვარი—დ. კაკაბაძე, კომპოზიტორი—ვ. კორტიდი.

მთავარ როლებს ასრულებენ: პლატონ სამანიშვილი—გ. კოსტავა და დ. ჩხეიძე, ბეკონა — კ. კვანტალიანი და შ. ჯაფარიძე, მელანო—თ. ჩარკვიანი, კირილე—გ. შავგულიძე, ს. ჟორჟოლიანი და ა. რამიშვილი, ელენე—ც. წუწუნავა და ტასო აბაშიძე.

ახალ დადგმას ამზადებს თეატრთან არსებული სტუდიაც. დაწყებულია მუშაობა შექსპირის კომედიაზე „აურზაური ტყუილუბრალოდ“, თარგმანი ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძისა. სდგამს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. ახთაძე, მხატვარი ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი კ. მელენთევი-უხუცესი.

◇

ხელოვნების ქრონიკა

თბილისის სახ. კონსერვატორიის დარბაზში დღეს, 2 აპრილს გაიმართება ამავე კონსერვატორიის პროფესორ ვრონსკის კლასის კურსდამთავრებულ მომღერლის ნინო თურქიას (სოპრანო) კონცერტი. პროგრამაშია რუსი და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

ჯროლეიბუსის საცდელი რეისი

გუშინ დამთავრდა ახლახან გაყვანილი სატროლეიბუსო ხაზისა და ახალი სატროლეიბუსო ვაგონების გამოცდა. მთელ მარშრუტზე („დინამოს“ ახალი სტადიონიდან კარლ მარქსის მოედნამდე) ტროლეიბუსებმა სამ-სამჯერ გაიარეს. გამოცდები კარგად დამთავრდა. არავითარი არსებითი დეფექტი არც საჰაერო ხაზზე, არც ტროლეიბუსებზე არ არის.

სატროლეიბუსო მოძრაობის გახსნა გათვალისწინებული იყო 1 აპრილს, მაგრამ ვიხაიდან ტელმანის ქუჩის ასფალტირება ამ დროისთვის ვერ დაამთავრეს, ამიტომ სატროლეიბუსო მოძრაობის გახსნა ორი დღით გადაიდო.

სატროლეიბუსო მოძრაობის გახსნასთან დაკავშირებით, დაჩქარებით აშენებენ სატროლეიბუსო ვაგონების სახელოსნოს და პარკს, რომელიც ნავარაუდევია 55-60 ტროლეიბუსისათვის. პარკისა და სახელოსნოს აგება და მოწყობა თვენახევარში დამთავრდება.

◇

სპორტი

სიმძიმეების ამწევთა საკავშირო შეჯიბრება

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით, აპრილის დამლევს თბილისში ჩატარდება სიმძიმეების ამწევთა საკავშირო შეჯიბრება. პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, ბელორუსიის, აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების საუკეთესო ძალოსნები.

კავშირის ცნობილ ოსტატებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო რეკორდსმენები: პოპოვი, შატოვი, ამბარცუმიანი, მეხანიკი და სხვ.

შეჯიბრების მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი ძალოსნების მზადებას შეჯიბრებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს სიმძიმეების აწევთა საწვრთნელი შეკრება, რომელსაც ხელმძღვანელობს საქ. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ჩიკვაიძე.

◇

კრებები

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს საღამოს 8 ს. შესდგება ქართული ეთიკა და ლიტერატურის მეთოდკაბინეტის სხდომა, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ვ. ხუროძე თემაზე: „ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები“. დასწრება შეუძლიათ გარეშე პირთაც.

◇

საკავშირო დეკემბათა საბჭოს გასწორება

ამხანაგ სტალინის საბოლოო სიტყვაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც გუშინდელ გაზეთებში გამოქვეყნდა, მე-6 პუნქტის მესამე აბზაცში **დაბეჭდილია:**

„ჯერ-ერთი, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, ხელმძღვანელები, არ უნდა გავმედიდურდეთ, არ უნდა ვფიქრობდეთ, რომ თუ ჩვენ ცენტრალური კომიტეტის წევრები ან სახალხო კომისრები ვართ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოგვეპოვება ყველა საჭირო ცოდნა იმისათვის, რათა სწორად ვუხელმძღვანელოთ. ჩვენი თავისთავად არ იძლევა ცოდნასა და გამოცდილებას. სახელწოდება — მით უმეტეს“.

უნდა იკითხებოდეს:

„ჯერ-ერთი, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, ხელმძღვანელები, არ უნდა გავმედიდურდეთ **და უნდა გვესმოდეს**, რომ თუ ჩვენ ცენტრალური კომიტეტის წევრები ან სახალხო კომისრები ვართ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოგვეპოვება ყველა **ცოდნა, აუცილებელი** იმისათვის, რათა სწორად ვუხელმძღვანელოთ. ჩვენი თავისთავად არ იძლევა ცოდნასა და გამოცდილებას. სახელწოდება — მით უმეტეს“.

ნეკროლოგი

გერმანე ჭიჭარუდზის ბიბლიოთეკა

30 მარტს მუშაობის ადგილას დაილუპა ხრამჰესის საგზაო მშენებლობის ინჟ. ამხ. გ. გ. სიხარულიძე.

ამხ. გერმანე დაიბადა 1908 წელს სოფ. ბუკისციხეში (ჩოხატაურის რაიონი) უღარიბესი გლეხის ოჯახში. საშუალო სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა 1926 წელს ჩოხატაურში.

1927 წლიდან 1931 წლამდე მუშაობდა თბილისის რკინიგზის სადგურზე მტვირთავ მუშად. 1931 წელს, როგორც საუკეთესო მომუშავე და სწავლას მოწყურებული, მიავლინეს ა.-კ. ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

ამხ. გერმანე ინსტიტუტში ითვლებოდა აკადემიურად და საზოგადოებრივ საქმიანობაში მოწინავე სტუდენტად. მან წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი 1936 წელს. ამავე წელს გაეგზავნა სამუშაოდ ხრამჰესის მშენებლობაზე და დღემდე ენერგიულად განაგრძობდა მუშაობას.

ამხ. გერმანე იყო ძველი კომკავშირელი, მტკიცე ბოლშევიკი, პარტიის აქტიური წევრი 1930 წლიდან.

ხრამჰესის მშენებლობამ და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაკარგეს საუკეთესო ინჟინერ-მშენებელი, რომლის ხსოვნა მუდამ დაუვიწყარი იქნება ყველა ჩვენგანის გულში.

უახლოესი ამხანაგები: გ. ქორიძე, ი. ცქიტიშვილი, ტ. ლომიძე, ა. დუდუჩავა, გ. ფირანიშვილი, ა. ჯიქია, ა. ცნობილაძე, მ. ბარამიძე, დ. თავართქილაძე, დ. სალუქვაძე, ვ. ვარდაბაშვილი, კაზიაკოვი.

◇

ახალი წიგნები

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობამ გამოსცა:

ვ. ლენინი — თებერვლიდან ოქტომბრამდე, ფასი ყდით 5 მან. (ურიგდება ხელისმოწერილებს).

პარტიის ა. ხალხი — გაზეთ „პრავდას“ სტატიების კრებული. ფასი 40 კაპ.

შინაარსი: ა) პარტია და ხალხი;

ბ) სიმართლე და პატიოსნება;

გ) პარტიული ხელმძღვანელობის ბოლშევიკური სტილისათვის;

დ) ბოლშევიკური თვითკრიტიკა პარტიული მოქმედების საფუძველია;

ე) თავმდაბლობა აშენებს ბოლშევიკს;

ვ) შინაპარტიული დემოკრატია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი — პარტორგანიზაციების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ, ფასი 05 კაპ.

საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების გამომცემლობამ გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები:

— ფინკლერი — „მზად ვარ სანიტარული თავდაცვისთვის“, ლეგუნი — „ყოველ მზად სანიტარული თავდაცვისთვის“ (დამხმარე წიგნი პიონერებისა და მოწაფეებისათვის), სპრანსკაია — „სანსაგუშაგოთა მუშაობა ბინათა საარენდო კოოპერატიულ ამხანაგობაში“, როგოვი — „საბრძოლო ამოცანათა ტოქსიკოლოგია“, როზანოვი — „მეცადინეობის ორგანიზაცია“ და ჩაბარება“. წითელი ჯვრის პირველადი ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, პოპოვი — „სახსოვარი საპაერო თავდაცვის დარგში“; „პირველი დახმარება უბედურ შემთხვევაში“, „დებულება წითელი ჯვრის ორგანიზაციის შესახებ“, ა. საჯაია — „კლინიკური შენიშვნები“, როზანოვი — „მეცადინეობის ორგანიზაცია წითელი ჯვრის წრეებში“,

◇

პარტკალენდარი

— **საქ. კ. პ. (ბ) ნაშურის რაიკომში** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1521523, გაცემული ვასილ ალექსის-ძე ორაშვილის სახელზე; პარტბილეთი № 1534663, გაცემული ალექსი დიმიტრის-ძე გრიტალიშვილზე და საკანდიდატო ბარათი № 0713133, გაცემული ისაკი გიორგის-ძე ტუსიაშვილზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

ბ-IV — გედების ბზა

ვ-IV — ევგენი ონეგინი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მუდმივი ადგილები 25 მარტის თარიღით ძალაშია—2 აპრილს. ადგილის წინასწარ აღნიშვნით თეატრის ადმინისტრატორთან.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

ბ-IV — არსენა

ვ-IV — ალაკაზარ

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

ბ-IV წარ. № 139 — იცქა რიჟინაშვილი

ვ-IV წარ. № 140 — ნინოშვილის გურია

დღეს სახკინმარჯვნის თეატრებში

ოქტომბერი 5-30, 8, 9-30 — ახალი ბიოვაი ბხატვრ. ფილმი გეთჰოვენის კონცერტი

დინამო 5-30, 7-20, 9-20 — დადგმის მე-2 კვირა ხმოვ. სურათი უკანასკნელი ღამე

კომკავშირელი 5, 7, 9, 11 — დადგმის მე-3 თვე ხმ. სურ. დარიკო

რ. ლუქსემბ. 6-30 8, 9-30, 11 — ხმოვანი ფილმი მოგზაურობა არზრუმს

2ი კომ. სახ. 6, 7-30, 9, 10-30 — ხმოვანი ფილმი ფედკა

ახალი ამბები — ესპანეთის ამბები ძე-1ა გამომც. საბჭ. ხელოვნება № 1

სახსირკი ტელ. 3-11-44 — დღეს, ჯ აპრილს, მრავალფეროვანი პროგრამა საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატების ძოპაწილეობით ფრანგული პროფეს. ჭიდაობის მე-33 დღე. ჭიდაობას 3 წყვილი 1. ჩურკინი—კარელინი 2. ჰ. შმიდტი—ნ. ვერდენი 3. გადამწყვეტი შეხვედრა ვ. გოგოზოვი—მ. ბაგალიკა შვილი წარმოდგ. დასწყ. 8 ს. 30 წ., ჰიდაობისა—10 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 ს. მდე და 5 ს-დან

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა

გამოვიდა და იყიდება:

ვ. ლენინი— თებერვლიდან ოქტომბრამდე, ფასი ყდით 5 მან. (ურიგდება ხელისმოწერილებს).

ა. ჟდანოვი—„პარტიული ორგანიზაციების მომზადება ახალი საარჩევნო სისტემით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სათანადო გარდაქმნა“.

შინაარსი: ა) ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე 1937 წ. 26 თებერვალს. ბ) ამხ ჟდანოვის საბოლოო სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე 1937 წ. 27 თებერვალს. გ) საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის რეზოლუცია ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენების გამო. ბროშურა 47 გვერდიანია და ღირს 40 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.—პარტორგანიზაციების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ. ფასი 05 კაპ

85

თბილისის სკოლების დირექტორებისა და ბეჭდვითი სიტყვის სასკოლო რწმუნებულების საყურადღებოდ

მოსწავლეთათვის სრული შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, რომ გამოიწერონ ახალგაზრდობისა და საბავშვო ჟურნალები „ოქტომბრელი“, „პიონერი“, „კარმირ წიღერი“ და „ენი-ქიუე“, აპრილისათვის ხელმოწერა გაგრძელებულია 5 აპრილამდე.

თბილისის სახალხო განათლების განყოფილების ა. წ. 13 მარტის წერილის № 14/155 თანახმად, სკოლების დირექტორებმა უნდა უზრუნველჰყონ მოსწავლეთა მაქსიმალურად ჩაბმა ხელმოწერაში.

„სოიუზპეჩატის“ თბილისის განყოფილება. თბილისის სახალხო განათლების განყოფილება.

5-1 50

მიღების პირობები

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში

1937/38 სასწავლო წელს

1. მიღება იწარმოებს: საკომპოზიციო, სადირიჟორო, მუს.-ისტორიულ, მუს.-თეორიულ, საგუნდო-სადირიჟორო, ვოკალურ, საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო, ალტი, ვიოლონჩელი, კონტრაბასი, ფლეიტა, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი, ტუბა და არფა) განყოფილებებზე.

2. მისაღები ეგამოცდებიი იწარმოებს საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში (მუსიკალური და საერთო) განსაბკომის და ხელოვნების მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით. ჩაბარებულ უნდა იქნეს შემდეგი საგნები: **სპეციალობა, მუსიკის ელემენტარული თეორია, ჰარმონია, სოლფეჯიო, მუს. ისტორია, საერთო ფორტეპიანო, ქართული ენა და ლიტერატურა (წერითი და ზეპირი), რუსული ენა, პოლიტცოდნა და სამოქალაქო ისტორია.**

3. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქეები 17-30 წლამდე.

4. შემომსვლელნი ვალდებულნი არიან შემოიტანონ კონსერვატორიის დირექტორის სახელზე განცხადება სპეციალობის აღნიშვნით და შემდეგი საბუთები: ა) **ატესტატი, საშუალო მუსიკალური და საშუალო (საერთო) სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დედანი), პასპორტი (პირადად წარედგინება), ორი ფოტოსურათი, შემოწმებული სახელმწიფო ორგანოს მიერ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულებისა და ჯანმრთელობის შესახებ**

5. განცხადებების მიღება ა. წ. 1/IV-დან 15/VI-მდე; გამოცდები იწარმოებს 15/VI-დან 25/VI-მდე.

6. მიღებულ სტუდენტთა ნაწილი დაკმაყოფილებული იქნება როგორც სტიპენდიით, ისე საერთო საცხოვრებლით.

საბუთების შემოტანა და მიღებისპირობების დაწვრილებით გაგება შეიძლება სახ. კონსერვატორიის კანცელარიაში, როგორც პირადად ისე ფოსტის საშუალებით შემდეგი მისამართით: თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 8.

108 დირექტორი: ა. ხოფერია

„სოიუზტექსტილშვეიტორგის“ თბილისის მაღაზია რეგისტრირებულია თბილისის ოქრჯონიკიძის რაიფინგანყოფილებაში 1936 წ. № 259.

საქმიანობის საგანი: საცალო ვაჭრობა საფეიქრო-სამკერვალო ნაკეთობით.

საანგარიშგებო ანგარიში № 60168 სახბანკის საქართველოს კან. ტორაში.

მისამართი: პლეხანოვის პროსპ. № 91.

დირექტორი—რინენბერგი.

1528 მთ. ბუხჰალტერი—სხირტლაძე

1937 წლის აპრილის 6, დღის 12 საათზე, უნივერსიტეტის მე-86 აუდიტორიაში შესდგება გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის საჯარო სხდომა, რომელზედაც ჰიდრომეტეოროლოგი გიორგი იოსების-ძე ჩირაძაძე მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ბახმაროს კლიმატიური პირობები“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. ალ. ნ. ჯავახიშვილი
პროფ. ი. გ. კონიაშვილი
დოც. პ. ფ. ბელონოგინი

16859 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფას. 3 კაპ. ინდ. 3 — 8554

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“. კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3 — 8554